

აღკვეთის ღონისძიებათა გამოყენების სტატისტიკის ანალიზი: რაოდენობრივი ინდიკატორების ინტერპრეტაციის გამოწვევები

ავტორი: თამარ ქეცბაია¹

1.შესავალი.....	1
2.აღკვეთის ღონისძიების სამართლებრივი ბუნება და პრაქტიკაში მისი გამოყენების ასპექტები.....	5
2.1. აღკვეთის ღონისძიებათა კონკრეტული სახეები და მათი გამოყენების პრაქტიკა.....	13
2.2.აღკვეთის ღონისძიებებში პატიმრობისა და გირაოს წილი.....	16
2.3.მეთოდოლოგიური შეზღუდვები და მონაცემთა ინტერპრეტაციისთვის საჭირო დამატებითი მონაცემები	25
3.„გირაო პატიმრობის უზრუნველყოფით“ - ინსტიტუციური ბუნება და გამოწვევები.....	27
3.1.„საპატიმრო გირაოს“ საკანონმდებლო და პრაქტიკული ევოლუცია.....	28
3.2.„საპატიმრო გირაოს“ სტატისტიკური ანალიზი და საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილების ეფექტი პრაქტიკაში.....	33
3.3.„საპატიმრო გირაოს“ გამოყენების შესახებ შუამდგომლობებისა და მათი დაკმაყოფილების მაჩვენებლის დინამიკა.....	36
3.4.„საპატიმრო გირაოს“ კრიტიკული გააზრება	41
4.დასკვნა.....	44

1. შესავალი

სისხლის სამართლის მართლმსაჯულებაში რაოდენობრივი მაჩვენებლების ინტერპრეტაცია ხშირად სცილდება სამეცნიერო დისკურსის ფარგლებს და პოლიტიკური ინსტრუმენტალიზაციის საგანი ხდება. თავის მხრივ, საჯარო დისკუსიებში სტატისტიკური მონაცემები ხშირად წარმოდგენილია იზოლირებულად, კონტექსტიდან მოწყვეტით და მანიპულაციურად, რაც მნიშვნელოვნად ასუსტებს მათ მიმართ საზოგადოებრივ ნდობას და აკნინებს თავად სტატისტიკის, როგორც ანალიტიკური ხელსაწყო, რეალურ დანიშნულებას.

სინამდვილეში, სისხლის სამართლის საპროცესო პრაქტიკის შეფასებისას, რაოდენობრივ მონაცემებს ფუნდამენტური მნიშვნელობა აქვს, თუმცა მხოლოდ იმ პირობით, თუ მათ განვიხილავთ არა როგორც იზოლირებულ მოცემულობებს, არამედ სხვა სამართლებრივ

¹ კვლევითი ინსტიტუტი Gnomon Wise, Email: t.ketsbaia@ug.edu.ge

ცვლადებთან და ინსტიტუციურ კონტექსტთან მჭიდროდ დაკავშირებულს. სამწუხაროდ, საქართველოს სისხლის სამართლის მართლმსაჯულების შეფასებისას, ამ მხრივ მნიშვნელოვანი დეფიციტია. სწორედ ამიტომ, წინამდებარე კვლევის მიზანია, ნაბიჯ-ნაბიჯ დაიწყოს იმ სხვადასხვა სამართლებრივი, ინსტიტუტური და სხვა შიდა თუ გარე ფაქტორის იდენტიფიცირება და შესწავლა, რომლებიც რეალურად განსაზღვრავენ ამ სისტემის მუშაობას. რა თქმა უნდა, ეს ანალიზი ვერ იქნება ამომწურავი და სრულყოფილი, მათ შორის, სხვადასხვა ინფორმაციული და ინსტიტუციური ხასიათის ობიექტური შეზღუდვის გამო, თუმცა იგი წარმოადგენს აუცილებელ მცდელობას სისტემური სურათის კონტურების გამოსაკვეთად.

ამ თვალსაზრისით, კვლევა ზოგადად სისხლისსამართლებრივი მართლმსაჯულების შესწავლას იწყებს სწორედ აღკვეთის ღონისძიებების გამოყენების პრაქტიკის ანალიზით. ეს არჩევანი მარტივი მიზეზით არის განპირობებული: აღკვეთის ღონისძიება, განსაკუთრებით კი მისი ყველაზე მკაცრი ფორმა - პატიმრობა, წარმოადგენს ზღვარს, სადაც სახელმწიფოს იძულებითი ძალა ყველაზე მკვეთრად ეჯახება ადამიანის თავისუფლებასა და უდანაშაულობის პრეზუმფციას. ეს ინტერვენცია ხორციელდება მაშინ, როდესაც პირის ბრალეულობის შესახებ მხოლოდ დასაბუთებული ვარაუდი არსებობს და არა - სასამართლოს მიერ გამოტანილი გამამტყუნებელი განაჩენი. შესაბამისად, ამ მექანიზმის გამოყენების ხარისხი და დასაბუთებულობა საუკეთესო ინდიკატორია მართლმსაჯულების სისტემის საწყისი, სტრუქტურული ჩავარდნების გამოსავლენად. ხაზგასმით აღვნიშნავთ, რომ ესაა არა სისტემის შეფასების ერთადერთი საზომი, არამედ პირველი და აუცილებელი ეტაპი - საფუძველი, საიდანაც ეტაპობრივად უნდა მივყვეთ ტენდენციებს და უფრო კომპლექსური სურათი შევკრათ.

კვლევა მოიცავს გრძელ დროით მონაცემებს, 2000 – 2025 წლებს, რაც საშუალებას იძლევა, თვალი მივადევნოთ აღკვეთის ღონისძიებათა გამოყენების დინამიკას როგორც ძველი (1998-2010 წწ.), ისე ახალი სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მოქმედების (2010-2025 წწ.) პირობებში. ამ პროცესში რაოდენობრივი მონაცემები და საკანონმდებლო ჩარჩო სინთეზურად განიხილება: ნაშრომი აანალიზებს, როგორ აისახება საკანონმდებლო ცვლილებები სასამართლოს რაოდენობრივ ინდიკატორებზე და დამატებით, რომელი ინსტიტუციური თუ პრაქტიკული ფაქტორები შეიძლება მოქმედებდეს მათ ფორმირებაზე.

წინამდებარე კვლევის მეთოდოლოგიურ არჩევანს პროაქტიულად ხელმისაწვდომი, საჯარო მონაცემების დამუშავება წარმოადგენს. ეს მიდგომა საშუალებას იძლევა, შეფასდეს

არა მხოლოდ ის, თუ რა სურათს აწვდიან შესაბამისი უწყებები გარე დამკვირვებელსა (მონაცემების შესწავლით დაინტერესებულ პირს) თუ უფრო ფართო საზოგადოებას, არამედ, პირველ რიგში, ის, თუ რომელ მონაცემთა ერთობლიობას მიიჩნევს თავად სისტემა საკმარისად, აღკვეთის ღონისძიებათა პრაქტიკისა და პოლიტიკის შესაფასებლად. ის გარემოება, რომ სახელმწიფო უწყებები არ ამუშავებენ სხვა მნიშვნელოვანი ფაქტორების შემცველ დეტალურ მონაცემებს, ან, ასეთის არსებობის მიუხედავად, მას სრულყოფილად არ ასაჯაროებენ, შეიძლება მიუთითებდეს იმაზე, რომ სისტემა ამ პრაქტიკის შეფასებისას ვიწრო, ფორმალური სტანდარტით ხელმძღვანელობს. ამდენად, შეთავაზებული მონაცემების ანალიზი კვლევის დამოუკიდებელ ობიექტად აქცევს თავად ამ საჯარო ინფორმაციის ხარვეზებსა და საინფორმაციო ვაკუუმს.

ამ მიდგომის გათვალისწინებით, სრულფასოვან ანალიზს აფერხებს არაერთი ბარიერი, როგორებიცაა რაოდენობრივი მონაცემების არასტაბილური გასაჯაროება (მაგალითად, 2023 წლის შემდეგ უზენაესმა სასამართლომ შეწყვიტა ყოველწლიური ანგარიშების გამოქვეყნება), კომპლექსური და მრავალმხრივი მონაცემების არარსებობა, სტატისტიკის წარმოების ბუნდოვანი მეთოდოლოგია და საერთო სასამართლოების სამართლებრივი აქტების ხელმისაწვდომობის შეზღუდული პოლიტიკა.

თუმცა ნაშრომში ოფიციალური მონაცემების დეფიციტსა და თვისებრივი ინფორმაციის ნაკლებობას აკომპენსირებს სხვა მნიშვნელოვანი წყაროები. ოფიციალურ სასამართლო სტატისტიკასთან ერთად, კვლევა ეყრდნობა თემატურ აკადემიურ სტატიებს, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს რელევანტურ გადაწყვეტილებებსა და თბილისის სააპელაციო სასამართლოს საგამომიებო კოლეგიის ცალკეულ განჩინებებს.

გარდა ამისა, უზენაესი სასამართლოს მიერ მონაცემთა² გამოქვეყნების შეწყვეტით გამოწვეული ხარვეზის შესავსებად, კვლევაში გამოყენებულია საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის (საქსტატი)³ 2011-2025 წლების ოფიციალური მონაცემები.⁴ მიუხედავად იმისა, რომ საქსტატი ინფორმაციას უზენაესი სასამართლოსგან განსხვავებული ფორმატებით აქვეყნებს, ყოველთვიური მაჩვენებლების დამუშავებითა და

² „მართლმსაჯულება საქართველოში“, საქართველოს უზენაესი სასამართლო.

<https://www.supremecourt.ge/ka/statistics>

³ თავის მხრივ, საქართველოს სტატისტიკის ეროვნულ სამსახურს, 2010 წლის 30 აპრილს გაფორმებული თანამშრომლობის მემორანდუმის საფუძველზე, მონაცემებს თავად უზენაესი სასამართლო აწვდის. იხ. „სისხლის სამართლის სტატისტიკის ერთიანი ანგარიშის გამოცემის შესახებ თანამშრომლობის მემორანდუმი“ https://www.geostat.ge/media/39605/statistikis_memorandumi_GEO.pdf

⁴ „სისხლის სამართლის სტატისტიკის ერთიანი ანგარიში“, საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური. <https://www.geostat.ge/ka/modules/categories/679/siskhlis-samartlis-statistikis-ertiani-angarishi>

დაჯამებით შესაძლებელი გახდა ამ პერიოდის ერთიანი სტატისტიკური სურათის რეკონსტრუქცია. მეთოდოლოგიური სიზუსტისთვის, აღსანიშნავია, რომ საქსტატისა და უზენაესი სასამართლოს მონაცემებს შორის მცირედი ცდომილება ფიქსირდება, თუმცა იგი სტატისტიკურად უმნიშვნელოა და ზოგადი ტენდენციების იდენტიფიცირებაზე გავლენას არ ახდენს.

ამასთან, ოფიციალურ სტატისტიკასთან ერთად, არსებული პრაქტიკული სურათის შესავსებად, წინამდებარე კვლევა არსებითად ეყრდნობა საქართველოს სახალხო დამცველის 2026 წლის მარტის სპეციალურ ანგარიშს - „აღკვეთის ღონისძიების გამოყენების საკანონმდებლო და პრაქტიკული ანალიზი“⁵ (რომელიც შინაარსობრივად შესწავლილია 2024-2025 წლებში მიღებული სასამართლო განჩინებები) და საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის 2020 წლის კვლევას - „აღკვეთის ღონისძიების გამოყენების სტანდარტების შესახებ“⁶. ამ უკანასკნელის მიგნებები, რომლებიც, მათ შორის, სიღრმისეულ ინტერვიუებსა და განჩინებათა ანალიზს ემყარება, კვლევას ეხმარება მოსამართლეთა, პროკურორთა და ადვოკატთა პრაქტიკული პოზიციების დანახვაში.

ეს ნაშრომი, სწორედ აღნიშნული რაოდენობრივი და თვისებრივი მონაცემების გათვალისწინებით, იკვლევს აღკვეთის ღონისძიებათა გამოყენების რეალურ ტენდენციებს. ამასთან, კვლევის მიზანია, გამოკვეთოს ის შეზღუდვები, რომლებიც აფერხებს მონაცემთა სწორ ინტერპრეტაციას. ეს კი ქმნის აუცილებელ მეთოდოლოგიურ საფუძველს შემდგომი კვლევების ფარგლებში იმ მონაცემების გამოთხოვისა და შესწავლისთვის, რომელთა დეფიციტიც ამ ეტაპზე გამოვლინდება.

⁵ საქართველოს სახალხო დამცველის სპეციალური ანგარიში, „აღკვეთის ღონისძიების გამოყენების საკანონმდებლო და პრაქტიკული ანალიზი“, 18 მარტი, 2026. <https://www.ombudsman.ge/geo/spetsialuri-angarishebi/sakhalkho-damtsvelis-spetsialuri-angarishi-aghkvetsi-ghonisdziebis-gamogenebis-sakanonmdeblo-da-praktikuli-analizi>

⁶ საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია, „აღკვეთის ღონისძიების გამოყენების სტანდარტები“, თბილისი 2020. https://admin.gyla.ge/uploads_script/publications/pdf/აღკვეთის%20ღონისძიების%20გამოყენების%20სტანდარტები%20ი.კრდონლაი_01722933029.pdf

2. აღკვეთის ღონისძიების სამართლებრივი ბუნება და პრაქტიკაში მისი გამოყენების ასპექტები

აღკვეთის ღონისძიების ინსტიტუტი არ არის სისხლის სამართლებრივი დევნის ავტომატური,⁷ სავალდებულო ატრიბუტი, რომლითაც სასამართლოს როლი შემოიფარგლება მხოლოდ სხვადასხვა ალტერნატივას შორის არჩევანის გაკეთებით.

საქართველოს კონსტიტუციისა და სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის კონცეპტუალური ლოგიკით, აღკვეთის ღონისძიების გამოყენების აუცილებლობის დასაბუთება არის პირველი, დამოუკიდებელი და ერთ-ერთი ყველაზე კრიტიკული ნაბიჯი. მხოლოდ მას შემდეგ, რაც სასამართლო დაადგენს და დაასაბუთებს, რომ კონკრეტულ საქმეზე ზოგადად საპროცესო იძულების გამოყენება არის ლეგიტიმური და გარდაუვალი, იწყება მსჯელობა, თუ რომელი კონკრეტული საშუალება უზრუნველყოფს დასახულ საპროცესო მიზანს ყველაზე ეფექტურად - უფლებათა მინიმალური შეზღუდვითა და პროპორციულობის პრინციპის მკაცრი დაცვით.

ერთი მხრივ, პროკურორი, რომელზეც არის მტკიცების ტვირთი, და შემდეგ - სასამართლო, იკვლევენ ფაქტობრივი საფუძვლის არსებობას (დასაბუთებული ვარაუდი⁸), თუ რამდენად არის საქმეში წარმოდგენილი ფაქტებისა და ინფორმაციის ერთობლიობა, რომელიც ობიექტურ პირს დაარწმუნებდა, რომ ბრალდებულმა შესაძლოა ჩაიდინა სისხლის სამართლის კოდექსით გათვალისწინებული დანაშაული. თუმცა, ფაქტობრივთან ერთად, აუცილებელია ფორმალური საფუძვლის არსებობაც.⁹ ეს არის სისხლის სამართლის ლეგიტიმური საპროცესო მიზნები, რომლებიც ექსკლუზიურად შემოიფარგლება შემდეგი საფრთხეების პრევენციით: ბრალდებულის მიმალვის საფრთხე; ახალი დანაშაულის ჩადენის საფრთხე; მტკიცებულებათა განადგურებისა და მართლმსაჯულების განხორციელებისთვის ხელის შეშლის რისკი.¹⁰ თუ არ არსებობს ჩამოთვლილთაგან ერთ-ერთი საფრთხის არსებობის დასაბუთებული ვარაუდი მაინც, პირს არ უნდა შეეფარდოს აღკვეთის ღონისძიების არც ერთი სახე.

⁷ თბილისის სააპელაციო სასამართლოს საგამომიებო კოლეგიის მოსამართლე გიორგი გოგინაშვილის 2017 წლის 21 მარტის განჩინება საქმეზე N1გ/386-17, <https://tbappeal.court.ge/uploads/ckeditor/UPLOADS/SIAXLEEBI/saintereso%20gadawyvetilebebi/PDF%20documents/საგამომიებო%20კოლეგიის%20განჩინება%20აღკვეთის%20ღონისძიების%20გამოყენებაზე%20უარის%20თქმის%20შესახებ.pdf>

⁸ სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი, მუხლი 3-11. <https://matsne.gov.ge/ka/document/view/90034?publication=178>

⁹ თბილისის სააპელაციო სასამართლოს მოსამართლე გიორგი მიროტაძის 2017 წლის 14 ივლისის განჩინება საქმეზე N1გ/945-17

¹⁰ სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი, მუხლი 198-1.

ფუნდამენტური მნიშვნელობისაა იმ აქსიომის გააზრება, რომ აღკვეთის ღონისძიება, თავისი სამართლებრივი ბუნებით, არის ექსკლუზიურად პრევენციული სამართლებრივი საშუალება და არა - რეპრესიული იარაღი. იგი არამც და არამც არ უნდა იქცეს პირის ბრალეულობის წინასწარ საზომად, საზოგადოებრივი მრისხანების დაკმაყოფილების მექანიზმად ან ნაადრევი სასჯელის ფორმად. ვიდრე პირის მიმართ მოქმედებს უდანაშაულობის პრეზუმფცია, საპროცესო იძულება უნდა ატარებდეს მხოლოდ მინიმალურ, უკიდურესად აუცილებელ ხასიათს.

სისხლის სამართლის მართლმსაჯულების სისტემის ფუნქციონირებისა და აღკვეთის ღონისძიებათა შეფარდების ტენდენციების შეფასებისას, ერთ-ერთ მნიშვნელოვან ინდიკატორს წარმოადგენს ის, თუ როგორ რეაგირებს სასამართლო პროკურატურის მიერ წარდგენილ შუამდგომლობებზე. ამ თვალსაზრისით, საინტერესოა საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს ანგარიშები, რომლებშიც სამართალწარმოების პროცესში სასამართლოს მიუკერძოებლობის ტენდენციების დასასაბუთებლად, ზედაპირულად, თუმცა მოყვანილია აღკვეთის ღონისძიების გამოყენების თაობაზე პროკურატურის შუამდგომლობის დაკმაყოფილების შემთხვევების სტატისტიკა. მაგალითად, საბჭოს 2020-2023 წლის ანგარიშში აღნიშნულია: „თუ 2009-2012 წლებში სასამართლო პროკურატურის შუამდგომლობების საშუალოდ 84%-ს აკმაყოფილებდა, 2020-2023 წლებში ეს მაჩვენებელი საშუალოდ 49%-მდე შემცირდა“.¹¹ ანალოგიურ მონაცემებზეა გამახვილებული ყურადღება უწყების უფრო ადრეულ ანგარიშშიც.¹²

აღნიშნული მაჩვენებლები მოითხოვს სიღრმისეულ ანალიზს, რათა დადგინდეს, თუ რეალურად რას გულისხმობს იუსტიციის უმაღლესი საბჭო ამ მონაცემებში, რამდენად ზუსტია გამოყენებული გამოთვლის მეთოდოლოგია და რა შინაარსობრივ ინფორმაციას გვაწვდის იგი პროკურატურისა და სასამართლოს ურთიერთკავშირსა თუ, ზოგადად, აღკვეთის ღონისძიების შეფარდების პოლიტიკაზე.

საქართველოს უზენაესი სასამართლოსა და საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის (საქსტატი) ოფიციალური მონაცემები აჩვენებს, რომ იუსტიციის უმაღლესი

¹¹ საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო, სასამართლო სისტემის საქმიანობის ანგარიში 2020-2023, გვ.19-20.


https://hcoj.gov.ge/Uploads/2024/3/სასამართლო%20სისტემის%20ანგარიში%202020-2023_1.pdf

¹² საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო, სასამართლო სისტემის საქმიანობის ანგარიში - „დამოუკიდებელი და მიუკერძოებელი, ხარისხიანი და ეფექტიანი, გამჭვირვალე და ანგარიშვალდებული მართლმსაჯულება“, 2027-2019, გვ. 14.

<https://hcoj.gov.ge/files/news/სასამართლო%20სისტემის%20საქმიანობის%20ანგარიში%20-%202017-2019.pdf>

საბჭო, აღნიშნული მაჩვენებლის გამოთვლისას, ეყრდნობა ორ ძირითად მონაცემს: საანგარიშო წლის განმავლობაში წარდგენილი შუამდგომლობების საერთო რაოდენობასა და მათგან სასამართლოს მიერ დაკმაყოფილებული შუამდგომლობების მაჩვენებელს.

გრაფიკი 1: საქართველოს I ინსტანციის სასამართლოების მიერ 2009-2025 წლებში აღკვეთის ღონისძიების შეფარდებაზე შემოსული შუამდგომლობების დაკმაყოფილების მაჩვენებელი (%)



წყარო: 2009-2022 წლის მონაცემები - უზენაესი სასამართლოს ანგარიშები, 2023-2025 წლის მონაცემები - საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური

წარმოდგენილი მონაცემების მიხედვით, პროკურატურის მიერ მოთხოვნილი აღკვეთის ღონისძიებების პირდაპირი დაკმაყოფილების მაჩვენებელი, რომელსაც იუსტიციის უმაღლესი საბჭო სისტემის მუშაობის პროგრესის ერთ-ერთ ინდიკატორად იყენებს, 2013 წლამდე არსებულ მაჩვენებლებთან შედარებით, ნამდვილად შემცირებულია. მეტიც, 2025 წელს, 17-წლიან პერიოდში, ყველაზე დაბალი მაჩვენებელი (40.1%) დაფიქსირდა. თუმცა ანალიზისთვის საინტერესოა იმის დადგენა, თუ რაზე მოდის თითოეული წლის დარჩენილი პროცენტული წილი. კერძოდ, რომელი სამართლებრივი ალტერნატივები არსებობს მაშინ, როდესაც სასამართლო არ აკმაყოფილებს პროკურატურის შუამდგომლობას და ნიშნავს, თუ - არა დაუკმაყოფილებლობა ავტომატურ უარს ბრალდებულის მიმართ აღკვეთის ღონისძიების გამოყენებაზე?

უზენაესი სასამართლოს მიერ გამოქვეყნებული ანგარიშების თანახმად, პროკურატურის შუამდგომლობაზე სასამართლოს რეაგირება რამდენიმე სამართლებრივ ფორმას იღებს.

სასამართლოს შეუძლია, სრულად დააკმაყოფილოს შუამდგომლობა, რაც ბრალდებულისთვის ზუსტად მოთხოვნილი აღკვეთის ღონისძიების შეფარდებას ნიშნავს, ან უარი თქვას მის დაკმაყოფილებაზე. თავის მხრივ, უარის თქმის ფორმები რამდენიმე ალტერნატივად იშლება:

- სრული უარი აღკვეთის ღონისძიების გამოყენებაზე;
- უარი კონკრეტულ მოთხოვნილ ღონისძიებაზე, თუმცა ბრალდებულის მიმართ სხვა, უფრო მსუბუქი აღკვეთის ღონისძიების შეფარდება;
- შუამდგომლობის განუხილველად დატოვება (ამ კატეგორიაში, როგორც წესი, ერთიანდება ისეთი შემთხვევები, როდესაც ბრალდებულთან ფორმდება საპროცესო შეთანხმება და მოთხოვნილი ღონისძიება კარგავს სამართლებრივ აქტუალობას, ან შუამდგომლობა გათხოვნილია, ან აცილებულია).

შესაბამისად, როდესაც საუბარია შუამდგომლობის დაკმაყოფილებაზე, ეს ავტომატურად არ ნიშნავს, რომ დანარჩენ შემთხვევებში ბრალდებული *a priori* აღკვეთის ღონისძიების გარეშე დარჩა. ამასთან, მართალია დაკმაყოფილების პროცენტული მაჩვენებელი შეიძლება იყოს ერთ-ერთი გამაფრთხილებელი სიგნალი ბრალდების მხარესა და სასამართლოს შორის არსებული ინსტიტუციური კავშირის შესახებ, თუმცა მყარი დასკვნების გამოსატანად, მნიშვნელოვანია გამოირიცხოს, ერთი მხრივ, პროკურატურის შუამდგომლობების,¹³ ხოლო, მეორე მხრივ, სასამართლოს განჩინებების დასაბუთების მაღალი ხარისხი. თუ დავუშვებთ, რომ 80%-ზე მაღალი მაჩვენებელი შინაარსობრივი განხილვის გარეშე შეიძლება აჩენდეს სისტემური ავტომატიზმის გონივრულ ეჭვს, მაშინ საინტერესოა, ამ მაჩვენებლის მკვეთრი კლება თავისთავად ნიშნავს, თუ - არა, რომ სასამართლო უფრო მკაცრ ინსტიტუციურ კონტროლს ახორციელებს და აღკვეთის ღონისძიების შეფარდებას ფორმალურ პროცედურად არ განიხილავს.

ამის დასადგენად აუცილებელია დეტალურად გაანალიზდეს, თუ რა სამართლებრივი შედეგი დგება სასამართლოს მიერ პროკურატურის შუამდგომლობის დაკმაყოფილებაზე უარის შემთხვევაში. სამწუხაროდ, საჯაროდ ხელმისაწვდომი ანგარიშები, რომლებიც ამგვარ დეტალურ მონაცემებს შეიცავს, მხოლოდ 2015-2022 წლების პერიოდს მოიცავს.

¹³ ამისთვის, ერთი მხრივ, მნიშვნელოვანია შუამდგომლობათა და განჩინებათა შინაარსობრივი ანალიზი, ასევე, იმაზე დაკვირვება, თუ რა სიხშირით მიმართავს პროკურატურა სისხლისსამართლებრივი დევნის დროს აღკვეთის ღონისძიების ინსტიტუტს და წარადგენს შესაბამის შუამდგომლობას.

ცხრილი 1: საქართველოს I ინსტანციის სასამართლოების მიერ 2015-2022 წლებში აღკვეთის ღონისძიების შეფარდებაზე შემოსული შუამდგომლობების განხილვის შედეგების შესახებ

წელი	შუამდგომლობა		დაკმაყოფილდა		სხვა აღკვეთის ღონისძიება		განუხილველად დარჩა (%)		უარი აღკვეთის გამოყენებაზე	
	სულ		სულ	(%)	სულ	(%)	სულ	(%)	სულ	(%)
2015	16517		9236	55.9	3193	19.3	3597	21.8	491	3.0
2016	15300		8019	52.4	2579	16.9	4393	28.7	309	2.0
2017	14979		8120	54.2	1381	9.2	5269	35.2	209	1.4
2018	16203		8620	53.2	1377	8.5	6111	37.7	95	0.6
2019	18589		9003	48.4	2028	10.9	7419	39.9	139	0.7
2020	14993		7250	48.4	2169	14.5	5331	35.6	243	1.6
2021	18428		9132	49.6	2257	12.2	6827	37.0	212	1.2
2022	21030		10471	49.8	2070	9.8	8270	39.3	219	1.0

წყარო: საქართველოს უზენაესი სასამართლო

წარმოდგენილი მონაცემების ანალიზისას, განსაკუთრებულ ყურადღებას იპყრობს ბოლო მონაცემი - აღკვეთის ღონისძიების შეფარდებაზე სრული უარის თქმის მაჩვენებელი, რომლის წილიც წარდგენილ შუამდგომლობებში მინიმალურია (მერყეობს 0.6%-დან 3.0%-მდე). ეს მონაცემი ნათლად აჩვენებს, თუ რამდენად იშვიათად იღებს სასამართლო გადაწყვეტილებას პირის აღკვეთის ღონისძიების გარეშე დატოვების შესახებ. ეს, თავის მხრივ, მნიშვნელოვანია, რადგან კონკრეტული აღკვეთის ღონისძიების სიმძიმის მიუხედავად, თითოეული მათგანის გამოყენების ფორმალური საფუძველი იდენტურია. შესაბამისად, როდესაც სასამართლო ეთანხმება აღკვეთის ღონისძიების გამოყენებას, ის ეთანხმება პროკურორს, რომ არსებობს კანონით გათვალისწინებული სამი საფრთხიდან ერთ-ერთი. სწორედ ამიტომ, ავტომატიზმის გამოსარიცხად, დაკმაყოფილების მაჩვენებელთან ერთად, შეიძლება საინტერესო იყოს აღკვეთის გამოყენებაზე სრული უარის მაჩვენებელი.

ამასთან, მოცემული სტატისტიკური სურათის ერთ-ერთ მთავარ მეთოდოლოგიურ გამოწვევას წარმოადგენს ის გარემოება, რომ დაკმაყოფილებისა თუ სრული უარის პროცენტული მაჩვენებელი დათვლილია შუამდგომლობების საერთო რაოდენობიდან. ეს მონაცემი თავის თავში მოიცავს განუხილველად დატოვებულ შუამდგომლობებსაც. ამ უკანასკნელში უმეტესწილად იგულისხმება საპროცესო შეთანხმებით დასრულების, ასევე, აცილების ან პროკურატურის მხრიდან შუამდგომლობის გახმობის შემთხვევები. ეს კი,

თავის მხრივ, ისეთი შემთხვევებია, როდესაც სასამართლოს არ უწევს შუამდგომლობის არსებითად განხილვა და შესაბამისად, იმ რისკების დადასტურება ან უარყოფა, რომლებიც აღკვეთის ღონისძიების გამოყენების საფუძველია. ამდენად, კვლევის მიზნებისთვის საინტერესოა იმის შეფასება, თუ როგორ შეიცვლება სტატისტიკური სურათი, თუკი გაანგარიშებიდან სრულიად გამოვრცხავთ განუხილველად დატოვებულ შემთხვევებს (როგორც შუამდგომლობათა რიცხვიდან, ისე შუამდგომლობათა განხილვის შედეგებიდან).

ცხრილი 2: საქართველოს I ინსტანციის სასამართლოების მიერ 2015-2022 წლებში აღკვეთის ღონისძიების შეფარდებაზე შემოსული შუამდგომლობების განხილვის შედეგების შესახებ (განუხილველად დატოვებული შუამდგომლობების გამოკლებით)

წელი	შუამდგომლობა	დაკმაყოფილდა		სხვა აღკვეთის ღონისძიება		უარი აღკვეთის გამოყენებაზე	
		სულ	(%)	სულ	(%)	სულ	(%)
2015	12920	9236	71.5	3193	24.7	491	3.8
2016	10907	8019	73.5	2579	23.6	309	2.8
2017	9710	8120	83.6	1381	14.2	209	2.2
2018	10092	8620	85.4	1377	13.6	95	0.9
2019	11170	9003	80.6	2028	18.2	139	1.2
2020	9662	7250	75.0	2169	22.4	243	2.5
2021	11601	9132	78.7	2257	19.5	212	1.8
2022	12760	10471	82.1	2070	16.2	219	1.7

წყარო: საქართველოს უზენაესი სასამართლო

მონაცემთა ამგვარი კორექტირება ცხადყოფს, რომ თუკი მხედველობაში არ მივიღებთ განუხილველად დატოვებულ შუამდგომლობებს და ანალიზს მხოლოდ სასამართლოს არსებითი რეაგირების გარშემო წარვმართავთ, პროკურატურის მოთხოვნათა დაკმაყოფილების მაჩვენებელი მნიშვნელოვნად იზრდება.

მეტიც, უნდა გავითვალისწინოთ ის ფაქტიც, რომ განუხილველად დატოვების მაჩვენებელი, 2016 წლიდან მოყოლებული, შესამჩნევად მზარდია. დაკმაყოფილების მაჩვენებელი კი მეტწილად სწორედ განუხილველად დატოვების მაჩვენებლის ზრდის ხარჯზე იკლებს. ამ ტენდენციის საილუსტრაციოდ, მნიშვნელოვანია, დავაკვირდეთ დაკმაყოფილებულ და განუხილველად დარჩენილ შუამდგომლობებს. ამ შემთხვევაში შესაძლებელია უფრო ხანგრძლივი დროის მონაკვეთის ანალიზი, რადგან, წინა შემთხვევისგან განსხვავებით (როდესაც დეტალურად ჩაშლილი მონაცემები მხოლოდ შეზღუდული პერიოდისთვის იყო ხელმისაწვდომი), დაკმაყოფილებული და

განუხილველად დატოვებული შუამდგომლობების შესახებ მონაცემების შეგროვება შესაძლებელია საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის ყოველთვიური ანგარიშების დამუშავების შედეგად.

ცხრილი 3: საქართველოს I ინსტანციის სასამართლოების მიერ 2011-2025 წლებში აღკვეთის ღონისძიების შეფარდებაზე შემოსული, დაკმაყოფილებული და განუხილველად დარჩენილი შუამდგომლობების აბსოლუტური და ფარდობითი მაჩვენებელი (%)

წელი	შუამდგომლობა	დაკმაყოფილდა		განუხილველად დარჩა	
	სულ	სულ	%	სულ	%
2011	16687	13299	79.7	3378	20.2
2012	10948	8972	82.0	1823	16.7
2013	17463	10983	62.9	4552	26.1
2014	18147	10720	59.1	4096	22.6
2015	16517	9236	55.9	3597	21.8
2016	15300	8019	52.4	4393	28.7
2017	14979	8120	54.2	5269	35.2
2018	16203	8620	53.2	6111	37.7
2019	18589	9003	48.4	7419	39.9
2020	14993	7250	48.4	5331	35.6
2021	18428	9132	49.6	6827	37.0
2022	21030	10471	49.8	8270	39.3
2023	20127	10004	49.7	8076	40.1
2024	18458	8813	47.7	7590	41.1
2025	23739	9523	40.1	12805	53.9

წყარო: 2011-2014 და 2023-2025 წლები - საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური; 2015-2022 წლები - საქართველოს უზენაესი სასამართლო


წარმოდგენილი ცხრილი კიდევ უფრო ნათლად წარმოაჩენს შუამდგომლობების დაკმაყოფილების მაჩვენებლის კლების ტენდენციასა და მის მიმართებას განუხილველად დარჩენის მაჩვენებელთან. მონაცემებიდან ირკვევა, რომ 2025 წლის მაჩვენებლები 15-წლიანი პერიოდის პიკს აღწევს. კერძოდ, გასულ წელს აღკვეთის ღონისძიების შეფარდების შესახებ შუამდგომლობების ყველაზე მაღალი აბსოლუტური მაჩვენებელი (23 739 შუამდგომლობა) და განუხილველად დატოვების როგორც აბსოლუტური (12 805 შემთხვევა), ისე ფარდობითი მაჩვენებელი (53.9%) დაფიქსირდა. ამასთან, 15-წლიან პერსპექტივაში, 2025 წელი შუამდგომლობების დაკმაყოფილების ყველაზე დაბალი ფარდობითი მაჩვენებლით გამოირჩევა (40.1%).

2025 წლის რადიკალური მაჩვენებლები აჩენს გონივრულ კითხვას: რამ განაპირობა განუხილველად დატოვებული შუამდგომლობების მაჩვენებლების ასეთი ზრდა? ვინაიდან

განუხილველად დატოვებულ შუამდგომლობათა უმრავლესობა საპროცესო შეთანხმებების გაფორმებას უკავშირდება, ძირითადი მიზეზი სწორედ საპროცესო შეთანხმებით დასრულებულ საქმეებში უნდა ვეძებოთ.

მართლაც, 2025 წელს საპროცესო შეთანხმების უპრეცედენტო რაოდენობა დაფიქსირდა. კერძოდ, გასული წლის საანგარიშო პერიოდში სისხლის სამართლის საქმეთა განხილვა საპროცესო შეთანხმებით დასრულდა 18 004 შემთხვევაში, რაც წინა წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით, 55%-ით არის გაზრდილი (2024 წ. – 11 591). მართალია, საპროცესო შეთანხმებით გამოტანილი განაჩენების საერთო რიცხვი მოიცავს როგორც არსებითი განხილვით, ისე არსებითი განხილვის გარეშე გამოტანილ განაჩენებს (სადაც არსებითი განხილვის გარეშე გამოტანილი განაჩენების წილი ტრადიციულად მაღალია), თუმცა საპროცესო შეთანხმებათა მაჩვენებელი რელევანტურია მოცემულ შემთხვევაში, რადგან საპროცესო შეთანხმებების დინამიკა და განუხილველად დატოვებული შუამდგომლობების ზრდის ტენდენცია ერთმანეთთან თანხვედრილია. შესაბამისად, ეს ფაქტორი ხსნის 2025 წლის მკვერთ დინამიკას.

გრაფიკი 2: | ინსტანციის სასამართლოების მიერ 2014-2025 წლებში განუხილველად დატოვებული შუამდგომლობების აბსოლუტური მაჩვენებელი და საპროცესო შეთანხმებით გამოტანილი განაჩენების რაოდენობა



წყარო: 2014-2022 წწ. - საქართველოს უზენაესი სასამართლო; 2023-2025 წწ. - საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური

განუხილველად დატოვებული შუამდგომლობების მაღალი წილის გათვალისწინებით, თუ 2025 წლის მონაცემებს დავაკორექტირებთ და დაკმაყოფილების მაჩვენებლის დათვლისას,

განუხილველად დატოვებულ შუამდგომლობებს ამოვრიცხავთ საერთო რაოდენობიდან, აღმოჩნდება, რომ რეალურად განხილული 10 934 შუამდგომლობიდან, სასამართლომ დააკმაყოფილა 9 523 შუამდგომლობა, რაც შუამდგომლობების 87%-ს შეადგენს. ეს კი სრულიად განსხვავებულ სურათს იძლევა: პირველადი, ერთი შეხედვით, ყველაზე დაბალი დაკმაყოფილების მაჩვენებლის (40.1%) ნაცვლად, კორექტირების შედეგად, ვიღებთ 15-წლიან პერიოდში ყველაზე მაღალ მაჩვენებელს (2011 და 2012 წლების თითქმის 100%-იანი მაჩვენებლების შემდეგ).

ამგვარად, კორექტირებული სტატისტიკა აჩვენებს, რომ პირველადი აღქმა, თითქოს სასამართლოს მხრიდან პროკურატურის შუამდგომლობების დაკმაყოფილების მაჩვენებელი 48%-55%-იან შუალედშია, არ ნიშნავს აღკვეთის ღონისძიების გამოყენებაზე რეალურ უარს. სასამართლო, არსებითად განხილულ შუამდგომლობათა აბსოლუტურ უმრავლესობაში, დადასტურებულად მიიჩნევს აღკვეთის ღონისძიების გამოყენების როგორც მატერიალური, ისე საპროცესო საფუძვლების არსებობას. სასამართლოს ინსტიტუციური წინააღმდეგობა, როგორც წესი, ვლინდება არა ზოგადად აღკვეთის ღონისძიების საჭიროების უარყოფაში, არამედ უშუალოდ კონკრეტული ღონისძიების სახის შერჩევისას. სრული უარის წილი კი კვლავ უკიდურესად იშვიათ გამონაკლისად რჩება. ეს გარემოება ამყარებს ვარაუდს, რომ აღკვეთის ღონისძიების გამოყენება პრაქტიკაში, გარკვეულწილად, ავტომატურ ხასიათს ატარებს.

აღნიშნული კონტურების გამოკვეთის შემდეგ, აუცილებელია უფრო დეტალურად შევისწავლოთ, თუ კონკრეტულად რა სახის აღკვეთის ღონისძიებების შეფარდების ტენდენცია ვლინდება პრაქტიკაში, როგორია ამ შემთხვევაში სასამართლოს მხრიდან ბრალდების მხარის მოთხოვნათა დაკმაყოფილების მაჩვენებელი და რა შედეგები დგება დაკმაყოფილებაზე უარის შემთხვევაში.

2.1. აღკვეთის ღონისძიებათა კონკრეტული სახეები და მათი გამოყენების პრაქტიკა

საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი აღკვეთის ღონისძიების ხუთ სახეს იცნობს: გირაო, შეთანხმება გაუსვლელობისა და სათანადო ქცევის შესახებ, პირადი თავდებობა, სამხედრო მომსახურების ქცევისადმი სარდლობის მეთვალყურეობა და პატიმრობა.¹⁴ ამასთან, ძირითად ღონისძიებასთან ერთად, შესაძლებელია ერთი ან

¹⁴ საქართველოს კანონი საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი, მუხლი 199(1), N1772, სსმ, 31, 03/11/2009. <https://matsne.gov.ge/ka/document/view/90034?publication=178>

რამდენიმე სხვა დამატებითი ღონისძიების გამოყენება. მათ ძირითად და გავრცელებულ სახეებს თავად კოდექსი ჩამოთვლის,¹⁵ თუმცა მოსამართლეს მხოლოდ ამ ჩამონათვალით არ ზღუდავს და აძლევს შესაძლებლობას, თავად განსაზღვროს ნებისმიერი სხვა ღონისძიება, რომელიც აუცილებელია აღკვეთის ღონისძიების გამოყენების მიზნების მისაღწევად.

აღსანიშნავია, რომ საპროცესო კანონმდებლობის მთავარი ამოსავალი წერტილი უფლების შეზღუდვის ფუნდამენტური პრინციპია: ნებისმიერი იძულების ღონისძიება ადამიანის უფლებებში მხოლოდ იმდენად უნდა ერეოდეს, რამდენადაც ეს კონკრეტული მიზნის მისაღწევად არის აუცილებელი, გამოსადეგი და პროპორციული. შესაბამისად, კანონი პირდაპირ მოითხოვს ყველაზე ნაკლებად მზღუდავი საშუალების გამოყენებას. სწორედ ამ პრინციპიდან გამომდინარე, კოდექსი აღკვეთის ღონისძიებების იერარქიას სიმკაცრის მიხედვით არ ადგენს.

ამ სტანდარტის გათვალისწინებით, კანონმდებელი განსაკუთრებული სიფრთხილით უდგება პატიმრობის საკითხს. კოდექსის 205-ე მუხლი აყალიბებს პატიმრობის, როგორც უკანასკნელი საშუალების (Ultima Ratio), პრინციპს. კერძოდ, ეს ნორმა პირდაპირ მიუთითებს, რომ პატიმრობა შეიძლება გამოვიყენოთ „მხოლოდ მაშინ, თუ ეს ერთადერთი საშუალებაა“ იმისათვის, რომ თავიდან ავიცილოთ კანონით გათვალისწინებული საფრთხეები. თუ არსებობს თუნდაც მცირე შანსი, რომ ეს რისკები სხვა, უფრო მსუბუქი, გზით აირიდოს სასამართლომ, პატიმრობის გამოყენება პირდაპირ იკრძალება.

პატიმრობისადმი ასეთი უკიდურესად ფრთხილი მიდგომა იმით არის განპირობებული, რომ იგი ბუნებრივად წარმოადგენს ადამიანის უფლებებსა და თავისუფლებაში ერთ-ერთ ყველაზე მკაცრ და ინტენსიურ ჩარევას. საპატიმროში მოხვედრა გულისხმობს არა მხოლოდ პირის ფიზიკური თავისუფლების შეზღუდვას, არამედ ავტომატურად იწვევს ადამიანის სხვა უამრავი ფუნდამენტური უფლების ჯაჭვურ შეზღუდვას, რაც ბრალდებულს ყველაზე მძიმე ტვირთად აწევს. მეტიც, როგორც საქართველოს

¹⁵ ვალდებულება, დანაშაულის დროს ან გამოძახებისთანავე გამოცხადდეს სასამართლოში, გარკვეული საქმიანობის ან პროფესიის განხორციელების აკრძალვა, სასამართლოში, პოლიციაში ან სხვა სახელმწიფო ორგანოში ყოველდღიურად ან სხვა პერიოდულობით გამოცხადებისა და ანგარიშგების ვალდებულება; სასამართლოს მიერ დანიშნული უწყების ზედამხედველობა; ელექტრონული მონიტორინგი; ვალდებულება გარკვეულ ადგილას ყოფნისა გარკვეულ საათებში ან უამისოდ; გარკვეული ადგილის დაუტოვებლობის ან მასში შეღწევის აკრძალვა; სპეციალური ნებართვის გარეშე გარკვეულ პირებთან შეხვედრის აკრძალვა; პასპორტის ან პირადობის დამადასტურებელი სხვა დოკუმენტების ჩაბარების ვალდებულება - სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი, მუხლი 199(2).

საკონსტიტუციო სასამართლომ აღნიშნა, სისხლისსამართლებრივი დევნის პროცესში ბრალდებულს უპირისპირდება სახელმწიფო, რომლის ხელთ არსებული მნიშვნელოვანი რესურსი მიმართულია პირის მიერ დანაშაულის ჩადენის დასამტკიცებლად. ბრალდებულის პატიმრობაში ყოფნა მნიშვნელოვნად ამარტივებს მის მიმართ სისხლისსამართლებრივი დევნის წარმოებას, რის გამოც, დევნის განმახორციელებელ ორგანოს შესაძლოა პირის პატიმრობის მიმართ გარკვეული ფარული ინტერესიც კი ჰქონდეს.¹⁶ სწორედ ამიტომ, პატიმრობამ შეიძლება გავლენა იქონიოს შეჯიბრობითობის პრინციპზეც მაშინ, როდესაც ბრალდების მხარე ბუნებრივად ისედაც უფრო ხელსაყრელ პირობებში შეიძლება აღმოჩნდეს, მის ხელთ არსებული რესურსების გათვალისწინებით.

შესაბამისად, ნაკლებად მზლუდავი საშუალების ძიებისას, კანონი პატიმრობას განიხილავს არა უბრალოდ „ერთ-ერთ“ რიგით ღონისძიებად, არამედ უკიდურეს, გამონაკლის ზომად. იგი პროკურატურასა და სასამართლოს ავალდებულებს, ყოველ ჯერზე უტყუარად დაამტკიცონ, რომ უფლებათა ამ მასშტაბით შეზღუდვის გარდა, სხვა გზა არ არსებობს.

მიუხედავად კანონმდებლობისა, საკონსტიტუციო სასამართლოს თუ ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს მიერ დადგენილი მკაცრი სტანდარტისა, საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციისა (საია) და სახალხო დამცველის ანგარიშები, რომლებიც უშუალოდ სასამართლო განჩინებების საფუძვლიან შესწავლას ეყრდნობა, ცხადყოფს, რომ საგამომიებო ორგანოთა შუამდგომლობები და თავად სასამართლოს განჩინებები ხშირად ვერ აკმაყოფილებს დასაბუთების მაღალ სტანდარტს. პრაქტიკაში ფართოდ არის გავრცელებული შაბლონური, ფორმალური მიდგომები, რომლებშიც კონკრეტული ბრალდებულის პერსონალური გარემოებების შეფასება ჩანაცვლებულია ზოგადი სამართლებრივი ფრაზებითა და აბსტრაქტული რისკების მექანიკური ჩამოთვლით.¹⁷

ეს პრობლემა განსაკუთრებით საყურადღებო ხდება ანგარიშებიდან გამოვლენილ იმ მოცემულობის ფონზე, რომ შესწავლილ საქმეებში გამოყენებულ აღკვეთის ღონისძიებებს

¹⁶ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2015 წლის 15 სექტემბრის გადაწყვეტილება N3/2/646 საქმეზე საქართველოს მოქალაქე გიორგი უგულავა საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ, II-4. <https://www.constcourt.ge/ka/judicial-acts?legal=917>

¹⁷ საქართველოს სახალხო დამცველის სპეციალური ანგარიში, „აღკვეთის ღონისძიების გამოყენების საკანონმდებლო და პრაქტიკული ანალიზი“; საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია, „აღკვეთის ღონისძიების გამოყენების სტანდარტები“.

შორის დომინირებს ორი სახე - პატიმრობა და გირაო. ამ დროს კი კოდექსით გათვალისწინებული სხვა ალტერნატივები, პრაქტიკულად, „მკვდარ ნორმებად“ რჩება.

შესაბამისად, მნიშვნელოვანია ამ მხრივ არსებული სტატისტიკური მონაცემების დამუშავება, რათა გავარკვიოთ, რამდენად აირეკლება საერთო სურათში სახალხო დამცველისა და საია-ს მიგნებები.

ჩვენი კვლევის მიზნებისთვის, საინტერესოა სტატისტიკური მაჩვენებლები და მისი დინამიკა ორ ძირითად ასპექტად დავყოთ:

1. გამოყენებული აღკვეთის ღონისძიებების საერთო რაოდენობა და მასში პატიმრობის თუ გირაოს ხვედრითი წილი.
2. უშუალოდ პატიმრობის მოთხოვნის შუამდგომლობებისა და მათი დაკმაყოფილების მაჩვენებლის განხილვა.

ეს უკანასკნელი გვაჩვენებს, თუ რამდენად ხშირად მიმართავს ბრალდების მხარე სასამართლოს ყველაზე მკაცრი ღონისძიების მოთხოვნით და რა პროცენტულობით იზიარებს მოსამართლე პროკურატურის პოზიციას. თავის მხრივ, მნიშვნელოვანია იმის ჩვენებაც, თუ რამდენად იზიარებს აღკვეთის ღონისძიების ყველაზე მკაცრი ზომა ჩვენ მიერ ზემოთ განხილულ ტენდენციას, რომ სტატისტიკურად დაკმაყოფილების მაჩვენებლის შემცირება/ზრდა დამოკიდებულია განუხილველად დარჩენილი შუამდგომლობების დინამიკაზე და არა - აღკვეთის ღონისძიების გამოყენების შესახებ სასამართლოს სრულ უარზე.

შესაბამისად, ჩვენი ინტერესის საგანს სწორედ ამ მაჩვენებლებისა და მათ უკან მდგომი ფაქტორების ანალიზი წარმოადგენს. ამასთან, საინტერესოა, ნამდვილად არის, თუ - არა შემცირებული ეს მაჩვენებლები და, თუ შემცირებულია, რამდენად შესაძლებელია ამ შემცირების ობიექტური ახსნა სტატისტიკური სურათის საფუძველზე.

2.2. აღკვეთის ღონისძიებებში პატიმრობისა და გირაოს წილი

აღკვეთის ღონისძიების სხვადასხვა სახის გამოყენების ტენდენციების წარმოსაჩენად, მიზანშეწონილია განვიხილოთ 26-წლიანი პერიოდი როგორც მონაცემების, ისე საკანონმდებლო ცვლილებების კუთხით. უმჯობესია, მონაცემთა დაყოფა და ანალიზი განხორციელდეს ბუნებრივი წყალგამყოფის - ფუნდამენტური საკანონმდებლო

ცვლილებების - შესაბამისად: 1998 წლის სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის¹⁸ (შემდგომში: ძველი კოდექსი ან 1998 წლის კოდექსი) მოქმედების პერიოდი (2000-2010 წწ.) და 2009 წლის ახალი საპროცესო კოდექსის¹⁹ (რომელიც ძალაში 2010 წლის ოქტომბრიდან შევიდა) მოქმედების პერიოდი (2011-2025 წწ.).

რაც შეეხება მონაცემებს, ისინი განსხვავებული ოფიციალური წყაროებიდან არის შეგროვებული. კერძოდ:

- 2000-2022 წლების მონაცემები ეყრდნობა საქართველოს უზენაესი სასამართლოს მიერ სხვადასხვა დროს გამოქვეყნებულ²⁰ თუ მოწოდებულ²¹ ოფიციალურ სტატისტიკას. უფრო ადრეული (1998-1999 წწ) მონაცემები ხელმისაწვდომი არ არის.
- 2023-2025 წლების მონაცემები შეგროვებულია საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის (საქსტატი) სისხლის სამართლის სტატისტიკის ერთიანი (ყოველთვიური) ანგარიშებიდან²² (თითოეული თვის მონაცემების დაჯამების გზით), რადგან 2023 წლიდან უზენაესმა სასამართლომ დეტალური სტატისტიკის ამ ფორმით გამოქვეყნება შეწყვიტა.

კანონმდებლობის ანალიზი

2006 წლამდე კანონმდებლობა იცნობდა ორ დამატებით აღკვეთის ღონისძიებას: შინაპატიმრობასა და პოლიციის ზედამხედველობაში გადაცემას. კერძოდ, 1998 წლის საპროცესო კოდექსის თავდაპირველი რედაქციით, შინაპატიმრობა (მუხლი 166)²³

¹⁸საქართველოს კანონი საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი, N1251, პარლამენტის უწყებანი, 13-14, 20/02/1998, ძალის დაკარგვის თარიღი: 01/10/2010.

<https://matsne.gov.ge/document/view/31882?publication=0>

¹⁹ საქართველოს კანონი საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი, N1772, სსმ, 31, 03/11/2009.

<https://matsne.gov.ge/ka/document/view/90034?publication=178>

²⁰ „მართლმსაჯულება საქართველოში“ - საქართველოს უზენაესი სასამართლო. <https://www.supremecourt.ge/ka/statistics>; ასევე იხილეთ, 2015 წლის ანგარიში - <https://www.supremecourt.ge/files/upload-file/pdf/2015-weli-wigni-sisxli.pdf>;

2016 წლის ანგარიში - <https://www.supremecourt.ge/files/upload-file/pdf/2016-weli-wigni-sisxli.pdf>; 2017 წლის ანგარიში - <https://www.supremecourt.ge/files/upload-file/pdf/2017-weli-wigni-sisxli.pdf>;

2018 წლის ანგარიში - <https://www.supremecourt.ge/files/upload-file/pdf/2018-weli-wigni-sisxli.pdf>; 2019 წლის ანგარიში - <https://www.supremecourt.ge/files/upload-file/pdf/2019-weli-wigni-sisxli.pdf>;

2020 წლის ანგარიში - <https://www.supremecourt.ge/files/upload-file/pdf/2020-weli-wigni-sisxli.pdf>;

²¹ საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2018 წლის 11 ოქტომბრის N 3-509-18 პასუხი საჯარო ინფორმაციის გამოთხოვაზე. <https://factcheck.ge/storage/files/wp/2018-11-pdf2.pdf>; ასევე, საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2019 წლის 12 თებერვლის N 3-102-19 პასუხი საჯარო ინფორმაციის გამოთხოვაზე. <https://factcheck.ge/storage/files/96ec0bd0-6722-11e9-8dcb-4d0fb30e873b.pdf>

²² „სისხლის სამართლის სტატისტიკის ერთიანი ანგარიში“, - საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური. <https://www.geostat.ge/ka/modules/categories/679/siskhlis-samartlis-statistikis-ertiani-angarishi>

²³ საქართველოს კანონი საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი, N1251, პარლამენტის უწყებანი, 13-14, 20/03/1998, (რედაქცია: 20/03/1998-26/06/1998), ძალის დაკარგვის თარიღი: 01/10/2010. <https://matsne.gov.ge/document/view/31882?publication=0>

გამოიყენებოდა იმ პირის მიმართ, რომლის სრული იზოლაცია აუცილებლობით არ იყო გამოწვეული. სასამართლო ბრძანების შესაბამისად, შინაპატიმრობის შემთხვევაში შესაძლებელი იყო ბრალდებულისთვის გარკვეულ პირებთან ურთიერთობის, სატელეფონო საუბრების, კორესპონდენციის გაგზავნა-მიღებისა და სახლიდან გასვლის აკრძალვა. ამასთან, მის საცხოვრებელ ადგილზე შესაძლებელი იყო პოლიციის მეთვალყურეობის დაწესებაც. თავდაპირველად შინაპატიმრობის მაქსიმალურ ვადად 9 თვე განისაზღვრებოდა, თუმცა საკანონმდებლო ცვლილებების შედეგად, იგი 4 თვემდე შემცირდა,²⁴ ხოლო 2005 წლის მიწურულს ეს ინსტიტუტი საერთოდ გაუქმდა.²⁵

მსგავსი ბედი გაიზიარა პოლიციის ზედამხვედელობაში გადაცემამ (ძველი კოდექსის 167-ე მუხლი) და გაუსვლელობის შესახებ შეთანხმებამ (ძველი კოდექსის 169-ე მუხლი)²⁶. პოლიციის ზედამხვედელობაში გადაცემა მხოლოდ იმ პირთა წინააღმდეგ გამოიყენებოდა, რომელთა მიმართ პოტენციური სასჯელი თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებდა. ეს ღონისძიება კრძალავდა დასახლებული პუნქტის დატოვებას ან საცხოვრებლის შეცვლას შესაბამისი ორგანოს ნებართვის გარეშე და აღკვეთის ღონისძიებაშეფარდებულ პირს ავალებდა, კვირაში ორჯერ მაინც გამოცხადებულიყო პოლიციის ადგილობრივ ორგანოში. თუმცა განსხვავებით ამ ღონისძიებისგან, რომელიც სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში ცალკე ძირითად ღონისძიებად აღარ დაბრუნებულა, გაუსვლელობის ხელწერილის ინსტიტუტი 2009 წელს მიღებულ ახალ საპროცესო კოდექსში კვლავ შევიდა, ოღონდ მნიშვნელოვანი შეზღუდვით - იგი გამოიყენება მხოლოდ იმ დანაშაულებზე, რომელთათვისაც კანონით გათვალისწინებული სასჯელი 1 წლით თავისუფლების აღკვეთას არ აღემატება.²⁷

მონაცემთა სწორი ანალიზისთვის ასევე მნიშვნელოვანია იმის გათვალისწინება, თუ რა ჩარჩოს ადგენდა ძველი საპროცესო კოდექსი უშუალოდ პატიმრობასა და გირაოსთან მიმართებით.

1998 წლის 20 თებერვლის სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მიხედვით, პატიმრობა (დაპატიმრება) არ გამოიყენებოდა იმ დანაშაულებზე, რომლებიც 2 წელზე

²⁴ საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის შესახებ საქართველოს კანონი, N1204, 25/03/2005, სსმ, 14, 18/04/2005.

<https://matsne.gov.ge/ka/document/view/29152?publication=0>

²⁵ საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის შესახებ საქართველოს კანონი, N2265, 16/12/2005, სსმ, 55, 27/12/2005.

<https://matsne.gov.ge/ka/document/view/27748?publication=0>

²⁶ იქვე.

²⁷ სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი, მუხლი 202.

ნაკლები ვადით თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებდა (გარდა აღკვეთის ღონისძიების პირობის დარღვევის შემთხვევებისა).²⁸ გარდა ამისა, კანონი ზღუდავდა პატიმრობას მძიმე ავადმყოფობის, არასრულწლოვნების,²⁹ ხანდაზმულის (ქალები - 60 წლიდან, მამაკაცები - 65 წლიდან), 12 კვირაზე მეტი ხნის ორსულისა და ჩვილშვილიანი (ერთ წლამდე ასაკის) ქალის მიმართ. ასევე, კანონი უშვებდა შესაძლებლობას, რომ დაპატიმრება არ ყოფილიყო გამოყენებული იმ პირის მიმართ, რომელმაც დანაშაული ჩაიდინა გაუფრთხილებლობით (თუ ბრალად წარდგენილი დანაშაული არ ითვალისწინებდა თავისუფლების აღკვეთას 3 წლით ან მეტი ვადით).

რაც შეეხება გირაოს, თავდაპირველი რედაქცია არ ადგენდა შეზღუდვას დანაშაულის სიმძიმის მიხედვით,³⁰ თუმცა 1999³¹-2000³² წლების ცვლილებებით, გირაოს გამოყენება შესაძლებელი გახდა მხოლოდ ნაკლებად მძიმე დანაშაულის ბრალდების შემთხვევაში (ეს შეზღუდვა 2006 წლის 29 დეკემბრის ცვლილებით მოიხსნა).³³ ასევე, 2005 წლის მარტიდან გირაოს მინიმალურ ზღვრად დაწესდა 2 000 ლარი³⁴, რაც 2009 წლის ახალი კოდექსით 1 000 ლარამდე შემცირდა.³⁵

ასევე, საინტერესოა, რომ დამატებითი ღონისძიებების ინსტიტუტი კანონმდებლობაში მხოლოდ 2009 წლის კოდექსით გაჩნდა (შესაბამისად, ძალაში 2010 წლის ბოლოს შევიდა). თუმცა, შეიძლება ითქვას, რომ 2006 წლამდე არსებული აღკვეთის ღონისძიებები

²⁸ საქართველოს კანონი საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი, მუხლი 159. N1251, პარლამენტის უწყებანი, 13-14, 20/03/1998, (რედაქცია: 20/03/1998-26/06/1998), ძალის დაკარგვის თარიღი: 01/10/2010. <https://matsne.gov.ge/document/view/31882?publication=0>

²⁹ უშუალოდ არასრულწლოვნებთან დაკავშირებით ჩანაწერი თავდაპირველ ვერსიაში არ იყო და 2003 წლის ცვლილებით დაემატა. საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის შესახებ საქართველოს კანონი, N2454, 20/06/2003, სსმ, 21, 15/07/2003. <https://matsne.gov.ge/ka/document/view/12664?publication=0>

³⁰ საქართველოს კანონი საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი, მუხლი 168. N1251, პარლამენტის უწყებანი, 13-14, 20/03/1998, (რედაქცია: 20/03/1998-26/06/1998), ძალის დაკარგვის თარიღი: 01/10/2010. <https://matsne.gov.ge/document/view/31882?publication=0>

³¹ საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის შესახებ საქართველოს კანონი, N1958, 13/05/1999; სსმ, 16(23), 14/05/1999. <https://matsne.gov.ge/ka/document/view/11614?publication=0>

³² საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის შესახებ საქართველოს კანონი, N287, 05/05/2000, სსმ, 287, 15/05/2000. <https://matsne.gov.ge/ka/document/view/16990?publication=0>

³³ საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის შესახებ საქართველოს კანონი, N4212, 29/12/2006, სსმ, 1, 03/01/2007. <https://matsne.gov.ge/ka/document/view/22462?publication=0>

³⁴ საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის შესახებ საქართველოს კანონი, N1204, 25/03/2005, სსმ, 14, 18/04/2005. <https://matsne.gov.ge/ka/document/view/29152?publication=0>

³⁵ საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი, მუხლი 200(2), N1772, 09/10/2009, სსმ, 31, 03/11/2009. პირველადი სახე (03/11/2009-24/09/2010). <https://matsne.gov.ge/ka/document/view/90034?publication=0>

(შინაპატიმრობა, პოლიციის ზედამხედველობა) შინაარსით მეტწილად იმ ღონისძიებებს უტოლდება, რომელსაც ახალი კოდექსი იცნობს. განსხვავება ის არის, რომ ძველი კოდექსით მათ შეფარდებას ისეთივე ფორმალური საფუძველი სჭირდებოდა, როგორც სხვა ძირითად ღონისძიებებს და გამოიყენებოდა თვითგმარად, ხოლო ახალი კოდექსით, ის არის შემავსებელი ღონისძიება და ძირითადი ღონისძიების გამოყენებლად, სასამართლო დამატებით ღონისძიებას ვერ მიმართავს.

მონაცემთა ანალიზი და ტენდენციები

მას შემდეგ, რაც განვიხილეთ მნიშვნელოვანი საკანონმდებლო ცვლილებები, საინტერესოა იმაზე დაკვირვება, თუ რამდენად აისახა ცვლილებები უშუალოდ სტატისტიკურ მონაცემებში. ამისთვის, თავდაპირველად განვიხილოთ ძველი კოდექსის მოქმედების პერიოდი.

2000-2010 წლების მონაცემების ანალიზი

ცხრილი 4.1: საქართველოს I ინსტანციის სასამართლოების მიერ აღკვეთის ღონისძიებათა გამოყენების დინამიკა (2000-2010 წლები)

წელი	შეფარდა აღკვეთის ღონისძიება	დაპატიმრება		გირაო		პირადი თავდებობა	არასრულწლოვანი ბრალდებულის მეთვალყურეობაში გადაცემა	სამხედრო მოსამსახურის ზედამხედველობაში გადაცემა	შეთანხმება გაუსვლელობისა და სათანადო ქცევის შესახებ	შინაპატიმრობა	პოლიციის ზედამხედველობაში გადაცემა
	სულ	სულ	%	სულ	%	%	%	%	%	%	%
2000	8815	5914	67.1	15	0.2	1.1	0.9	2.9	11.5	1.2	15.0
2001	8696	4621	53.1	2	0.0	0.7	1.3	1.9	17.9	1.6	23.4
2002	8848	4518	51.1	1	0.0	0.5	0.9	2.9	18.4	1.9	24.3
2003	9115	5051	55.4	3	0.0	0.4	0.5	2.8	14.2	1.1	25.6
2004	10754	7459	69.4	7	0.1	0.8	0.3	1.9	8.7	1.0	17.9
2005	10964	7159	65.3	710	6.5	1.6	0.7	0.9	7.2	0.7	17.1
2006	17872	10367	58.0	6745	37.7	2.7	0.7	0.9	0.0	0.0	0.1
2007	20417	8929	43.7	11241	55.1	0.8	0.1	0.3	0.0		
2008	17250	7806	45.3	9222	53.5	1.0	0.1	0.1	0.0		
2009	16043	8198	51.1	7590	47.3	1.3	0.2	0.1	0.0		
2010	14959	8109	54.2	6757	45.2	0.6	0.0	0.0	0.0		

წყარო: საქართველოს უზენაესი სასამართლო

წარმოდგენილი სტატისტიკური მონაცემებისა და საკანონმდებლო ცვლილებების ურთიერთშეჯერება მკაფიოდ ასახავს საკანონმდებლო რეფორმების გავლენას პრაქტიკაზე:

- 2000-2005 წლების პერიოდი:** პატიმრობის მკვეთრი დომინირების ფონზე (51.1%-69.4% შუალედში) გირაო არ ითვლებოდა პოპულარულ ღონისძიებად და მისი წილი სტატისტიკაში ახლოს იყო ნულოვან ზღვართან (გამონაკლისია 2005 წელი, როცა გირაოს გამოყენების 710 შემთხვევა დაფიქსირდა - 6.5%). ეს შეიძლება იმითაც აიხსნას, რომ 2000 წლიდან გირაოს გამოყენება მხოლოდ ნაკლებად მძიმე დანაშაულებით იყო შეზღუდული. ამის ნაცვლად, პატიმრობასთან ერთად, ფართოდ გამოიყენებოდა ისეთი ალტერნატივები, როგორებიცაა გაუსვლელობის ხელწერილი (7.2%-18.4%) და პოლიციის ზედამხედველობაში გადაცემა (15.0%-25.6%).
- 2006 წლიდან გარდამტეხი ცვლილებები:** 2006 წელი მკვეთრად გამორჩეულია ყველა მიმართულებით. წინა წელთან შედარებით, 63%-ით გაიზარდა აღკვეთის ღონისძიებათა საერთო რაოდენობა (17 872 შემთხვევა), რაც, სავარაუდოდ, „ნულოვანი ტოლერანტობის“ პოლიტიკის გამოძახილია. 2005 წლის მიწურულს ალტერნატიული ღონისძიებების გაუქმებით (შინაპატიმრობა, პოლიციის ზედამხედველობა, გაუსვლელობის ხელწერილი), 2006 წლიდან გირაოს წილმა მკვეთრად იმატა (37.7% - წინა წელთან შედარებით, 31.2 პროცენტული პუნქტით ზრდა). ამასთან, რადიკალურად გაიზარდა შეფარდებული აღკვეთის ღონისძიებების საერთო რაოდენობაც: თუ წინა წლებში ზრდის დინამიკა მეტ-ნაკლებად სტაბილური იყო (3%-მდე შუალედში (გამონაკლისია 2004 წელი, როცა წინა წელთან შედარებით, 18%-იანი ზრდა დაფიქსირდა), 2006 წელს ეს მაჩვენებელი 6 908 ერთეულით გაიზარდა (63%-იანი ზრდა 2005 წელთან შედარებით). ალტერნატივების მოსპობის ფონზე, ეს ნაკადი მთლიანად პატიმრობასა და გირაოზე გადანაწილდა.
- 2007-2010 წლებში პატიმრობისა და გირაოს სრული დომინირება:** ერთი მხრივ, 2007 წლიდან სრულად მოიხსნა შეზღუდვები გირაოზე (მისი გამოყენება აღარ არის დამოკიდებული დანაშაულის სიმძიმეზე), ხოლო კანონში დარჩენილი სხვა ალტერნატიული ღონისძიებები უმეტესწილად მხოლოდ სპეციალურ სუბიექტებს ერგებოდა (არასრულწლოვნის/სამხედროს მეთვალყურეობა). ამასთან, 2007 წელი, აღკვეთის ღონისძიებათა რაოდენობის მხრივ, პიკური წელია (20 417 შემთხვევა). გამკაცრებული პოლიტიკის ფონზე, საინტერესოა, რომ ამ ორ დომინანტ

ლონისძიებას შორის, უფრო დიდი წილი არა - პატიმრობაზე, არამედ გირაოზე (55.1%) მოდიოდა. ამგვარ გადანაწილებაში შესაძლოა თავისი როლი ეთამაშა 2005-2006 წლებში გაჩენილ (თუმცა 2007 წლიდან ამოქმედდა) ახალ ინსტიტუტს - „გირაო პატიმრობის უზრუნველყოფით“ (ე.წ. „საპატიმრო გირაო“). კერძოდ, თუკი სტატისტიკას დავაკვირდებით, ვნახავთ, რომ 2007 წელს შეფარდებული გირაოდან (11 241 შემთხვევა), 29.3%-ში (3 290 შემთხვევა) გამოყენებულია „გირაო პატიმრობის უზრუნველყოფით“, რაც აღკვეთის ღონისძიებების საერთო რაოდენობის 16.1%-ს შეადგენდა.

2008 წლიდან ახალი კოდექსის ძალაში შესვლამდე (2010 წლის დეკემბერი) შესამჩნევია როგორც ზოგადად აღკვეთის ღონისძიების შეფარდების კლების ტენდენცია, ისე გირაოსა და პატიმრობის დომინანტობა, მეტწილად - თანაბარი მაჩვენებლით.

2011-2025 წლების მონაცემების ანალიზი

2009 წლის დეკემბერში მიღებულმა ახალმა სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსმა (რომელიც ძალაში 2010 წლის დეკემბრიდან შევიდა), ფუნდამენტურად შეცვალა სისხლის სამართლის პროცესი, მათ შორის, როგორც აღინიშნა, ცვლილებები შეეხო აღკვეთის ღონისძიებათა სისტემასაც. ახალმა კოდექსმა განსაზღვრა აღკვეთის ღონისძიების 5 ძირითადი სახე, აღადგინა გაუსვლელობისა და სათანადო ქცევის შესახებ შეთანხმება (მკაცრი საკვალიფიკაციო შეზღუდვით - მხოლოდ 1 წლამდე თავისუფლების აღკვეთის შემცველ დანაშაულებზე) და დანერგა დამატებითი ღონისძიებების ინსტიტუტი.

პატიმრობასთან დაკავშირებით მოიხსნა დანაშაულის სიმძიმით გათვალისწინებული შეზღუდვები, ხოლო გირაოს მინიმალური ზღვარი 1 000 ლარამდე შემცირდა. ამასთან, კანონმდებლობაში შენარჩუნდა გირაო პატიმრობის უზრუნველყოფით (ე.წ. „საპატიმრო გირაო“). ვინაიდან ახალი კოდექსი პრაქტიკულად 2011 წლიდან ამოქმედდა, მონაცემთა ანალიზიც სწორედ ამ პერიოდიდან არის მიზანშეწონილი. აგრეგირებული მონაცემების შეფასებისას, საკანონმდებლო ჩარჩოსთან ერთად, მხედველობაშია მისაღები ქვეყნის სისხლის სამართლის ზოგადი პოლიტიკის ცვლილების პერიოდებიცა და სხვა კონტექსტური ფაქტორები (მაგალითად, ხელისუფლების ცვლილება 2012 წელს, არჩევნები და ა.შ.). თუმცა გასათვალისწინებელია, რომ, როგორც წესი, აღკვეთის ღონისძიების შერჩევაზე მოქმედი, ყველაზე თვალსაჩინო და წონადი ფაქტორი კონკრეტულ წელს წარდგენილი ბრალის სიმძიმე და დანაშაულის სტრუქტურაა, რაც ცალკე კვლევის საგანია.

ცხრილი 4.2: საქართველოს I ინსტანციის სასამართლოების მიერ აღკვეთის ღონისძიებათა გამოყენების დინამიკა (2011-2025 წლები)

წელი	შეფარდა აღკვეთის ღონისძიება	დაპატიმრება		გირაო		პირადი თავდებობა	არასრულწლოვანი ბრალდებულის მეთვალყურეობაში გადაცემა	სამხედრო მოსამსახურის ზედამხედველობაში გადაცემა	შეთანხმება გაუსვლელობის სათანადო ქმედის შესახებ
	სულ	სულ	%	სულ	%	%	%	%	%
2011	13309	6558	49.3	6726	50.5	0.1	0.0	0.0	0.0
2012	9120	3819	41.9	5265	57.7	0.1	0.0	0.0	0.3
2013	12756	3413	26.8	8460	66.3	0.3	0.4	0.0	6.2
2014	13644	4365	32.0	8207	60.2	0.5	0.4	0.0	6.9
2015	12429	3678	29.6	7530	60.6	0.4	0.4	0.0	9.0
2016	10598	3082	29.1	6419	60.6	0.6	0.3	0.0	9.4
2017	9501	3249	34.2	5804	61.1	0.4	0.4	0.0	3.9
2018	9997	4308	43.1	5460	54.6	0.2	0.6	0.0	1.5
2019	11031	5205	47.2	5613	50.9	0.2	0.6	0.0	1.1
2020	9419	4471	47.5	4783	50.8	0.0	0.3	0.0	1.5
2021	11389	4723	41.5	6479	56.9	0.2	0.3	0.0	1.2
2022	12541	4830	38.5	7555	60.2	0.0	0.4	0.0	0.8
2023	11830	4479	37.9	7249	61.3	0.0	0.4	0.0	0.5
2024	10658	4379	41.1	6189	58.1	0.0	0.4	0.0	0.4
2025	10815	5654	52.3	5100	47.2	0.0	0.4	0.0	0.2

წყარო: 2011-2022 წწ. მონაცემები - საქართველოს უზენაესი სასამართლო; 2023-2025 - საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური

მოცემული ცხრილისა და საკანონმდებლო ცვლილებების გათვალისწინებით, შეიძლება შემდეგი მიგნებებისა და ტენდენციების გამოკვეთა:

- გარდამავალი პერიოდი (2011-2012 წლები):** ახალი კოდექსის ამოქმედებისთანავე, პატიმრობის წილმა კლება დაიწყო (2011 წელს - 49.3%), ხოლო 2012 წელს, წინა წელთან შედარებით, პატიმრობის მაჩვენებელი 7.4 პროცენტული პუნქტით შემცირდა (41.9%). ეს კლება პირდაპირპროპორციულად აისახა გირაოს მაჩვენებლის ზრდაზე (57.7%-მდე).

შეიძლება ითქვას, რომ ხელისუფლების გადაბარების დროისთვის შემცირებული იყო როგორც აღკვეთის ღონისძიებების საერთო რაოდენობა, ისე პატიმრობის

აბსოლუტური მაჩვენებელი. ამასთან, მცირე მასშტაბით ამოქმედდა გაუსვლელობის შეთანხმების ინსტიტუტიც. 2012 წლის ეს მონაცემები შესაძლოა უკავშირდებოდეს საარჩევნო კონტექსტსაც, რადგან საარჩევნო წლისთვის, პოლიტიკური გარემოებებიდან გამომდინარე, დამახასიათებელია როგორც ლიბერალური, ისე მკვეთრად მკაცრი სისხლისსამართლებრივი პოლიტიკის გამოვლინება.

- **ისტორიული მაჩვენებლები (2013-2016 წლები):** ეს პერიოდი, რომელიც, თავის მხრივ, ხელისუფლებაში ახალი ძალის მმართველობის პირველ ოთხწლედს ემთხვევა, მაჩვენებლების მკვეთრი ცვლილებით გამოირჩევა, რაც შეიძლება სისხლის სამართლის პოლიტიკის ლიბერალიზაციაზე მიუთითებდეს. კერძოდ, 26-წლიან დინამიკაში, ამ პერიოდში დაფიქსირდა პატიმრობის შეფარდების ისტორიული მინიმუმი (2013 წელს - 26.8%). შესაბამისად, გირაოს ფარდობითმა მაჩვენებელმა რეკორდულ ნიშნულს მიაღწია (60%-66%). ამასთან, მკაცრი საკანონმდებლო შეზღუდვის მიუხედავად, მნიშვნელოვნად გაიზარდა გაუსვლელობის შეთანხმების გამოყენებაც, რომელმაც 2016 წელს 9.4%-ს მიაღწია.
- **პატიმრობის მზარდი დინამიკა (2017-2020 წლები):** 2017 წლიდან იწყება პატიმრობის მაჩვენებლის ეტაპობრივი ზრდა. თუ 2017 წელს ეს მატემა გაუსვლელობის შეთანხმების წილის შემცირებით იყო გამოწვეული, 2018-2020 წლებში სურათი მკვეთრად შეიცვალა: პატიმრობის წილი 47.5%-მდე გაიზარდა, ხოლო გირაოს წილი 50.8%-მდე შემცირდა. საინტერესოა, რომ 2020 წელს, COVID-19-ის პანდემიისა და საპარლამენტო არჩევნების მიუხედავად, პატიმრობის მაღალი მაჩვენებელი შენარჩუნდა.
- **დროებითი სტაბილიზაცია (2021-2023 წლები):** მომდევნო სამწლიან პერიოდში პატიმრობის წილი კვლავ შემცირდა (37.9%-41.5%-ის ფარგლებში), ხოლო გირაოს წილმა 60%-ს გადააჭარბა.
- **მკვეთრი გადახრა (2024-2025 წლები):** 2024 წლიდან შესამჩნევია მკვეთრი ცვლილებები, რაც პიკს 2025 წელს აღწევს. 2025 წელს პატიმრობის წილმა ბოლო 15 წლის მაქსიმუმს მიაღწია (52.3%), ხოლო გირაოს წილი 47.2%-მდე შემცირდა.

საინტერესოა 2026 წლის იანვარ-მაისის მონაცემებზე დაკვირვებაც, რაც გარკვეულ საწყის ინდიკაციებს იძლევა. თუმცა, ამ მონაცემების შეფასებისას, აუცილებელია რამდენიმე მეთოდოლოგიური შეზღუდვის გათვალისწინება: 5-თვიანი მონაცემები წარმოადგენს მოკლევადიან ჭრილს. ამასთან, სისხლის სამართლის პრაქტიკაში აღკვეთის ღონისძიებათა

მაჩვენებლები წლის განმავლობაში შესაძლოა მერყეობდეს, კონკრეტულ პერიოდში ჩატარებული მასშტაბური საგამომიებო ღონისძიებებისა თუ რეგისტრირებული დანაშაულების დინამიკის მიხედვით.

ცხრილი 4.3: I ინსტანციის სასამართლოების მიერ აღკვეთის ღონისძიებათა გამოყენება 2023-2026 წლების იანვარ-მაისის პერიოდში

იანვარი-მაისი	შეფარდებული აღკვეთის ღონისძიებები	პატიმრობა		გირაო		გირაო პატიმრობის უზრუნველყოფით	
	სულ	სულ	%	სულ	%	სულ	%
2023	4559	1842	40.4	1529	33.5	1150	25.2
2024	4532	1865	41.2	1592	35.1	1039	22.9
2025	4429	1930	43.6	1212	27.4	1054	23.8
2026	4405	2727	61.9	897	20.4	772	17.5

წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური

ხაზგასმული მეთოდოლოგიური დათქმების გათვალისწინებით, 2026 წლის იანვარ-მაისის შუალედურ მონაცემებში ფიქსირდება პატიმრობის მაჩვენებლის მკვეთრი ზრდა (61.9%), რაც წინა წლების ამავე პერიოდის მაჩვენებლებს (40%-43%-ის ფარგლებში) საგრძნობლად აჭარბებს. მართალია, ეს მონაცემები აჩენს ვარაუდს სისხლისსამართლებრივი პოლიტიკის მკვეთრ გამკაცრებაზე, თუმცა ამ შუალედური მონაცემებით მტკიცებით ფორმატში საუბარი ნაადრევია. საბოლოო შეფასება შესაძლებელი გახდება მხოლოდ სრული კალენდარული წლის მონაცემების გამოქვეყნებისა და ბრალდების სტრუქტურის სიღრმისეული ანალიზის შემდეგ.

2.3. მეთოდოლოგიური შეზღუდვები და მონაცემთა ინტერპრეტაციისთვის საჭირო დამატებითი მონაცემები

ზემოთ წარმოდგენილი სტატისტიკური სურათი, განსაკუთრებით 2012-2024 წლების მონაცემები, ერთი შეხედვით, ქმნის შთაბეჭდილებას, რომ სასამართლო პრაქტიკაში გირაო დომინანტური აღკვეთის ღონისძიება იყო, ხოლო პატიმრობა - მეორე არჩევანი. თუმცა, სასამართლოს რეალური პოლიტიკის შეფასებისას, მხოლოდ აგრეგირებულ მონაცემებზე დაყრდნობა შესაძლოა მცდარი ან ზედაპირული დასკვნების საფუძველი გახდეს.

იმისთვის, რომ თავიდან ავიცილოთ მონაცემთა მცდარი ინტერპრეტაციის რისკები, აუცილებელია გავაკეთოთ რამდენიმე ფუნდამენტური მეთოდოლოგიური დათქმა და ხაზი გავუსვით არსებულ შეზღუდვებს.

პირველ რიგში, გასათვალისწინებელია ის ფაქტი, რომ გირაოს საერთო რიცხვში ერთიანდება ორი შინაარსობრივად განსხვავებული სამართლებრივი რეჟიმი: 1. არასაპატიმრო გირაო - როდესაც ბრალდებულს აკისრებენ გირაოს გადახდას, განუსაზღვრავენ გარკვეულ ვადას მის შესატანად, ამ ვადის განმავლობაში კი ბრალდებული ფიზიკურად თავისუფალია. 2. „გირაო პატიმრობის უზრუნველყოფით“ (ე.წ. „საპატიმრო გირაო“), რომლის დროსაც ბრალდებული თანხის სრულად ან მისი 50%-ის დაფარვამდე რჩება პატიმრობაში.

შესაბამისად, მხოლოდ პატიმრობისა თუ გირაოს საერთო პროცენტული მაჩვენებელი ვერ იძლევა პასუხს იმაზე, თუ რამდენად რეალურად ეზღუდებათ ბრალდებულებს თავისუფლება. თუ გირაოს შეფარდების შემთხვევათა დიდ ნაწილში პატიმრობის უზრუნველყოფა გამოიყენება, არსებობს რისკი, რომ ეს ღონისძიება პრაქტიკულად პატიმრობის ტოლფას ტვირთად იქცეს, განსაკუთრებით იმის გათვალისწინებით, თუ საშუალოდ რა პერიოდში ახერხებენ ბრალდებულები და მათი ოჯახები, პატიმრობაში დარჩენილი პირებისთვის გირაოს თანხის შეგროვებას, შესაბამისად, რამდენი ხანი უწევთ მათ პატიმრობაში დარჩენა.

კიდევ ერთი მნიშვნელოვანი ბარიერი, რომელიც ამ ეტაპზე სრულყოფილი დასკვნების გამოტანის საშუალებას არ იძლევა, დამატებითი ღონისძიებების (მაგ., პასპორტის ჩამორთმევა, განსაზღვრულ პირებთან კონტაქტის აკრძალვა და ა.შ.) შესახებ ოფიციალური სტატისტიკის არარსებობაა. ოფიციალური უწყების ანგარიშებში ცალკე არ აღირიცხება, თუ რამდენ შემთხვევაშია გამოყენებული ესა თუ ის დამატებითი ღონისძიება ძირითად ღონისძიებასთან (გირაოსთან) კომბინაციით.

ეს ქმნის სერიოზულ ანალიტიკურ შეზღუდვას: ჰიპოთეზის დონეზე სრულად დასაშვებია, რომ გირაო, მკაცრ დამატებით ღონისძიებებთან ერთად, ბრალდებულზე იმდენად ინტენსიურ შეზღუდვებს აწესებდეს, რომ შინაარსობრივად პატიმრობას უახლოვდებოდეს. პატიმრობის გამოყენების პრაქტიკა სწორედ მისი ინტენსივობიდან გამომდინარე იქცევს განსაკუთრებულ ყურადღებას, როგორც ყველაზე მაღალი დოზით უფლებების შემზღუდველი ღონისძიება, შესაბამისად, არანაკლებ მნიშვნელოვანია სხვადასხვა

ლონისძიების კომბინაციის ეფექტების დაკვირვებაც. პრაგმატული თვალსაზრისით, ამგვარი მოდელი შესაძლოა ხელსაყრელი იყოს სისტემისთვის პენიტენციური დაწესებულებების გადატვირთულობის პირობებში (რაც, თავის მხრივ, მზარდ პრობლემას წარმოადგენს). თუმცა, სტატისტიკური მონაცემების არარსებობის გამო, შეუძლებელია ამ საკითხზე შინაარსობრივი მსჯელობა და ეჭვების დადასტურება ან გამორიცხვა, შესაბამისად, ეს საკითხი რჩება დამატებითი კვლევის საგნად. ამ ეტაპზე კი უფრო დეტალურად წარმოვადგენთ გირაოს, როგორც აღკვეთის ერთ-ერთი ღონისძიების გამოყენების შიდა დინამიკას და გავაანალიზებთ „საპატიმრო გირაოს“ თავისებურებებს.

3. „გირაო პატიმრობის უზრუნველყოფით“ - ინსტიტუციური ბუნება და გამოწვევები

სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობა აღკვეთის ღონისძიებებს ყოფს საპატიმრო და არასაპატიმრო ღონისძიებებად. კანონმდებლის ჩანაფიქრით, საპატიმრო ღონისძიების ერთადერთ, უკიდურეს, სახეს წარმოადგენს პატიმრობა, ხოლო ყველა სხვა ინსტიტუტი (გირაო, არასრულწლოვანი ბრალდებულის მეთვალყურეობაში გადაცემა, შეთანხმება გაუსვლელობისა და სათანადო ქცევის შესახებ და სხვა) მიეკუთვნება არასაპატიმრო ჯგუფს.

ამ ფონზე განსაკუთრებულ ყურადღებას იქცევს გირაოს გამოყენების უზრუნველყოფის მიზნით პატიმრობის შეფარდების ინსტიტუტი (სსსკ-ის მე-200 მუხლის მე-6 ნაწილი, ე.წ. „გირაო პატიმრობის უზრუნველყოფით“ ან „საპატიმრო გირაო“). სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 199-ე მუხლი აღკვეთის ღონისძიებათა ამომწურავ ჩამონათვალში ამ მექანიზმს ცალკე სახედ არ ითვალისწინებს. მიუხედავად ამისა, პრაქტიკასა და ოფიციალურ დოკუმენტაციაში დამკვიდრებული ტერმინოლოგია („გირაო პატიმრობის უზრუნველყოფით“, „საპატიმრო გირაო“) ქმნის ილუზიას, თითქოს საქმე ეხებოდეს დამოუკიდებელ ძირითად აღკვეთის ღონისძიებას.

ეს აღრევა თვალსაჩინოდ აისახება ოფიციალურ სტატისტიკაშიც. ერთი მხრივ, სტატისტიკურ მონაცემთა ცხრილებში ეს მექანიზმი ცალკე გრაფად არის გამოყოფილი აღკვეთის ღონისძიებათა ჩამონათვალში,³⁶ რაც აღრმავებს მცდარ აღქმას მისი დამოუკიდებელი ბუნების შესახებ. მეორე მხრივ, იმ ანალიტიკურ ანგარიშებში, სადაც

³⁶სისხლის სამართლის სტატისტიკის 2026 წლის მაისის ანგარიში, დანართი, გვ. 79. <https://www.geostat.ge/ka/modules/categories/919/maisi>

საპატიმრო და არასაპატიმრო ღონისძიებების ფარდობა ფასდება, ეს მაჩვენებელი ავტომატურად, ყოველგვარი დათქმის გარეშე, მიეთვლება არასაპატიმრო ღონისძიებებს (გირაოს საერთო მაჩვენებელს).³⁷

სინამდვილეში, საკანონმდებლო მიზნებიდან გამომდინარე, ეს მექანიზმი წარმოადგენს არა აღკვეთის დამოუკიდებელ ღონისძიებას, არამედ დროებით, ინსტრუმენტულ მექანიზმს, რომლის ერთადერთი ფუნქცია ბრალდებულის მიერ გირაოს თანხის შეტანის უზრუნველყოფაა. იმ მომენტიდან, როდესაც ბრალდებული შეასრულებს კანონით დადგენილ მოთხოვნას (შეიტანს გირაოს თანხას სრულად ან არანაკლებ გირაოს თანხის 50%-ისა), პატიმრობა წყდება და უზრუნველყოფის ეს მექანიზმიც წყვეტს არსებობას. ბრალდებულის მხრიდან შემდგომში აღკვეთის ღონისძიებების პირობების ნებისმიერი დარღვევა შეფასდება არა როგორც უზრუნველყოფის, არამედ უშუალოდ გირაოს პირობების დარღვევა.

შესაბამისად, ამ მექანიზმის მოხსენიება „გირაო საპატიმრო უზრუნველყოფით“ ან „საპატიმრო გირაოდ“ სამართლებრივად დეფექტური და შეცდომაში შემყვანია. ამდენად, წინამდებარე ნაშრომში აღნიშნულ ტერმინებს გამოვიყენებთ მხოლოდ ბრჭყალებში, მათი პირობითი და დეფექტური ხასიათის ხაზგასასმელად.

3.1. „საპატიმრო გირაოს“ საკანონმდებლო და პრაქტიკული ევოლუცია

გირაოს გამოყენების უზრუნველყოფის მიზნით პატიმრობას ჯერ კიდევ 1998 წლის სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი იცნობდა. როგორც უკვე შესაბამის თავში აღინიშნა, კანონმდებლობაში ის პირველად 2005 წლის დეკემბრის ცვლილებებით გაჩნდა, ხოლო პრაქტიკაში მისი გამოყენება მხოლოდ 2007 წლიდან დაიწყო.

ნორმის თავდაპირველი რედაქცია არსებითად განსხვავდებოდა იმ მოწესრიგებისგან, რომელსაც მოქმედი რედაქცია გვთავაზობს. მოქმედი წესით (სსსკ-ის მე-200 მუხლის მე-6 ნაწილი), ამ მექანიზმის გამოყენება შესაძლებელია მხოლოდ დაკავებული ბრალდებულის მიმართ - როგორც პროკურორის შუამდგომლობით, ისე სასამართლოს ინიციატივით. 1998

³⁷“2026 წლის მაისში პირველი ინსტანციის სასამართლოების მიერ სულ შეფარდებული 869 აღკვეთის ღონისძიებიდან, საპატიმრო იყო 545, ანუ 62.7%, ხოლო არასაპატიმრო - 320, ანუ 36,8%. არასაპატიმრო აღკვეთის ღონისძიებებში შეფარდებული გირაოს ხვედრითმა წილმა შეადგინა 98.8%”. სისხლის სამართლის სტატისტიკის 2026 წლის მაისის ანგარიში, გვ. 36. https://www.geostat.ge/media/81063/Report_maisi_2026.pdf

წლის კოდექსში ამ ნორმის თავდაპირველი ვერსია³⁸ არ ითვალისწინებდა სასამართლოს ინიციატივას და არც იმას აკონკრეტებდა, რომ მექანიზმი ვრცელდებოდა მხოლოდ დაკავებულ პირებზე. პირველი ცვლილებით (2006 წლის 28 აპრილი)³⁹ სასამართლოს მიენიჭა ინიციატივის უფლება, თუმცა ნორმა პრაქტიკულად მკვდარი დარჩა 2006 წლის ბოლომდე, სანამ მასში არ შევიდა ფუნდამენტური ცვლილება. კერძოდ, ამ ცვლილებით ნორმა შემდეგნაირად ჩამოყალიბდა:

„სასამართლო, პროკურორის შუამდგომლობით ან საკუთარი ინიციატივით, გირაოს გამოყენების უზრუნველყოფის მიზნით პატიმრობას უფარდებს ბრალდებულს, რომლის მიმართაც გამოყენებულია სისხლის საპროცესო სამართლებრივი იძულების ღონიძიება დაკავების სახით, მის მიერ პროცესის მწარმოებელი ორგანოს დეპოზიტზე გირაოს სრულად ან ნაწილობრივ (მაგრამ არანაკლებ 50%-ისა) შეტანამდე“ (1998 წლის სსსკ-ის 168-ე მუხლის მე-6 ნაწილი).⁴⁰

წინა ვერსიებისგან განსხვავებით, ერთი მხრივ, დაზუსტდა ამ მექანიზმის გამოყენების შესაძლებლობა მხოლოდ დაკავებული ბრალდებულის მიმართ, ხოლო მეორე მნიშვნელოვანი ნიუანსი სასამართლოს დისკრეციას უკავშირდება. კერძოდ, წინა ვერსიები მკაფიოდ მიუთითებდა სასამართლოს უფლებამოსილებაზე. ახალმა ფორმულირებამ კი საპირისპირო პრაქტიკა განაპირობა: ზმნამ „უფარდებს“ პრაქტიკოსებში (მოსამართლეებში, პროკურორებსა და იურისტების დიდ ნაწილში)⁴¹ ჩამოაყალიბა ისეთი განმარტება, რომ ეს არის სასამართლოს იმპერატიული ვალდებულება და არა - დისკრეციული უფლებამოსილება. შესაბამისად, თუ პირი დაკავებული იყო და აღკვეთის ღონისძიებად გამოიყენებოდა გირაო, მოსამართლეთა უმეტესობა მიიჩნევდა (გარდა მცირე

³⁸ საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის შესახებ საქართველოს კანონი, N2265, 16/12/2005, სსმ, 55, 27/12/2005.

<https://matsne.gov.ge/ka/document/view/27748?publication=0>

³⁹ საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის შესახებ საქართველოს კანონი, N2936, 28/04/2006, სსმ, 14, 15/05/2006.

<https://matsne.gov.ge/ka/document/view/26092?publication=0>

⁴⁰ საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის შესახებ საქართველოს კანონი, N4212, 29/12/2006, სსმ, 1, 03/01/2007.

<https://matsne.gov.ge/ka/document/view/22462?publication=0>

⁴¹ ამას კარგად მოწმობს საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის მიერ ჩატარებული კვლევა, სადაც როგორც პროკურორი, ისე მოსამართლე რესპონდენტები სწორედ ამ აზრს აფიქსირებდნენ. მსგავს პოზიციას ვხვდებით სახალხო დამცველის ანგარიშსა თუ აკადემიურ ლიტერატურაში, მაგ: იხ. ბადრი ნიპარიშვილი, „პატიმრობა, როგორც გირაოს გამოყენების უზრუნველყოფის საშუალება“, მართლმსაჯულება და კანონი N2(50)'16, გვ. 36-63. <https://www.supremecourt.ge/files/upload-file/pdf/martlmsajuleba-da-kanoni-2016w-n2.pdf>

გამონაკლისისა), რომ ვალდებული იყო, ავტომატურად გამოეყენებინა პატიმრობა უზრუნველყოფის სახით.

ამგვარი განმარტების თვალსაჩინო ილუსტრაციაა თბილისის სააპელაციო სასამართლოს საგამომიებო კოლეგიის 2017 წლის 29 ივნისის განჩინება საქმეზე N1გ/895-17.⁴² ამ საქმეში, პროკურატურამ გაასაჩივრა თეთრიწყაროს რაიონული სასამართლოს მოსამართლის განჩინება, რომლითაც დაკავებულ ბრალდებულებს შეუფარდა გირაო მოთხოვნილი პატიმრობის უზრუნველყოფის გარშე და ისინი დარბაზიდან გაათავისუფლა. სააპელაციო სასამართლომ, მიუხედავად იმისა, რომ საჩივარი, პროცესუალური საფუძველით, დაუშვებლად ცნო, მკაცრად გააკრიტიკა პირველი ინსტანციის მოსამართლე კანონის „უგულებელყოფის გამო“ და განმარტა: *„დასახელებული ნორმა იმპერატიულად განსაზღვრავს სასამართლოს ვალდებულებას დაკავებული ბრალდებულის მიმართ აღკვეთის ღონისძიების სახით გირაოს გამოყენებისას, გირაოს უზრუნველყოფის მიზნით პატიმრობის შეფარდების თაობაზე, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც პირის ბრალდებულის სახით დაკავება განხორციელებულ იქნა კანონის მოთხოვნათა არსებითი დარღვევით, რაც საქართველოს სსსკ-ის 176-ე მუხლის პირველი ნაწილის „ე“ ქვეპუნქტის თანახმად, დაკავებულის გათავისუფლების უპირობო საფუძველს წარმოადგენს“.*

ეს მაგალითი ასევე აჩვენებს, რომ პრაქტიკაში ამ წესის სასამართლოს ვალდებულებად განმარტების მიუხედავად, საგამონაკლისო წესით, მოსამართლეთა ნაწილი მაინც უარს ამბობდა ავტომატურ დაკმაყოფილებაზე. თუმცა ეს მხოლოდ იშვიათ შემთხვევას წარმოადგენდა (რაც სტატისტიკურადაც დასტურდება). ამასთან, საგულისხმოა, რომ მოსამართლე შესაძლოა ამ ნაბიჯს დგამდეს იმ რწმენით, რომ ეს არის არაკონსტიტუციური ნორმის საწინააღმდეგოდ წასვლა, რათა დაიცვას კონსტიტუციის უზენაესობის პრინციპი.

აკადემიურ ლიტერატურაში ამის საპირისპირო მოსაზრებაც გვხვდება, რომლის მიხედვითაც თავად ეს ნორმა კი არ არის არაკონსტიტუციური, არამედ მისი ინტერპრეტაცია ხდება არაკონსტიტუციურად.⁴³ ამ პოზიციის მიხედვით, ნორმა უნდა განმარტებულიყო, როგორც მოსამართლის „აღმჭურველი“ (დისკრეციული) უფლებამოსილება და არა - ვალდებულება, რადგან საწინააღმდეგო განმარტება წარმოშობს

⁴²თბილისის სააპელაციო სასამართლოს საგამომიებო კოლეგიის მოსამართლე გიორგი გოგინაშვილის 2017 წლის 29 ივნისის განჩინება საქმეზე N1გ/895-17, სასამართლოს ელექტრონული ბიბლიოთეკა (სეზი), <https://tbappeal.court.ge/uploads/ckeditor/UPLOADS/2.pdf>

⁴³ომარ ჯორბენაძე, „გირაოს უზრუნველყოფის მიზნით პატიმრობის გამოყენება“, მართლმსაჯულება და კანონი N1(57)2018, გვ.105-108). <https://old.supremecourt.ge/files/upload-file/pdf/martlmsajuleba-da-kanoni-2018w-n1.pdf>

ორ აბსურდს: ერთი მხრივ, თუ მოსამართლე ავტომატურად ვალდებულია, დაკავებულის მიმართ გამოიყენოს პატიმრობა, გადაწყვეტილებას პირის ციხეში დატოვებაზე რეალურად იღებს არა სასამართლო, არამედ პროკურორი, რომელიც იყენებს ბრალდებულის მიმართ დაკავების ღონისძიებას და ითხოვს გირაოს. ამასთან, პრობლემა პროცესუალურ უთანასწორობაშიც არის. კერძოდ, პირს, რომელსაც შეფარდებული აქვს პატიმრობა და მოგვიანებით უფრო მსუბუქი ღონისძიებით, გირაოთი ეცვლება, შეუძლია დაუყოვნებლივ გათავისუფლდეს სხდომის დარბაზიდან, ხოლო დაკავებული პირი (რომლის მიმართაც პატიმრობის საფუძვლები საერთოდ არ დასტურდებოდა), ვალდებულია საპატიმროში დაელოდოს თანხის შეტანას.⁴⁴

განსხვავებული პოზიციების მიუხედავად, დომინანტური დარჩა პრაქტიკა, რომელიც ამ ნორმას მოსამართლის ვალდებულებად აღიქვამდა. მსგავსად წაიკითხა ნორმა საკონსტიტუციო სასამართლომაც, როცა თეთრიწყაროს სასამართლოს კონსტიტუციური წარდგინებების საფუძველზე, მას მოუწია აღნიშნული ნორმის კონსტიტუციურობაზე მსჯელობა.

საკონსტიტუციო სასამართლოს პლენუმმა გაიზიარა დამკვიდრებული განმარტება, რომ სადავო ნორმა გულისხმობდა მოსამართლის ვალდებულებას, დაკავებული პირისთვის გირაოს შეფარდების შემთხვევაში, საპატიმროში დაეტოვებინა პირი და არ აძლევდა იმის შეფასების შესაძლებლობას, ერთი მხრივ, რამდენად არსებობდა პირის გათავისუფლებამდე გირაოს გადახდის აუცილებლობა, ხოლო, მეორე მხრივ, რამდენად იყო საჭირო გადახდის უზრუნველსაყოფად პატიმრობის გამოყენება.⁴⁵

საბოლოოდ, საკონსტიტუციო სასამართლო მივიდა დასკვნამდე, რომ სადავო ნორმით გათვალისწინებული შეზღუდვა იმაზე ფართო იყო, ვიდრე ეს ლეგიტიმური მიზნის მისაღწევად იყო ობიექტურად საჭირო. სასამართლოს მითითებით, ამ შემთხვევაში ლეგიტიმური მიზნის მიღწევის სხვა, ნაკლებად მზღუდავი, საშუალებაც არსებობდა - მოსამართლის მიერ ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში, პირისთვის პატიმრობის შეფარდების აუცილებლობის შემოწმება. შესაბამისად, დაადგინა, რომ სადავო რეგულირება არ აკმაყოფილებდა აუცილებლობის მოთხოვნებს და 2022 წლის 24 ივნისის

⁴⁴ იქვე.

⁴⁵ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2022 წლის 24 ივნისის გადაწყვეტილება N3/5/1341,1660 თეთრიწყაროს რაიონული სასამართლოს კონსტიტუციური წარდგინებები საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მე-200 მუხლის მე-6 ნაწილის პირველი წინადადების კონსტიტუციურობის თაობაზე, II-10. <https://www.constcourt.ge/ka/judicial-acts?legal=13808>

N3/5/1341,1660 გადაწყვეტილებით, არაკონსტიტუციურად ცნო „საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მე-200 მუხლის მე-6 ნაწილის პირველი წინადადების ის ნორმატიული შინაარსი, რომელიც **გამორიცხავს მოსამართლის მიერ ბრალდებულის გირაოს შეტანამდე გათავისუფლებას...**“.⁴⁶ შესაბამისად, სადავო ნორმის ფორმულირება კოდექსში უცვლელად დარჩა, თუმცა მისი ინტერპრეტაცია უნდა მოხდეს იმ დათქმით, რომელიც საკონსტიტუციო სასამართლოს სარეზოლუციო ნაწილშია წარმოდგენილი.

მისი მნიშვნელობიდან გამომდინარე, აღნიშნული გადაწყვეტილება, წესით, უნდა ყოფილიყო წყალგამყოფი „საპატიმრო გირაოს“ გამოყენების პრაქტიკაში. კერძოდ, თუ 2022 წლის 24 ივნისამდე სასამართლოს არ ჰქონდა ალტერნატივა და იძულებული იყო, დაკავებული პირისთვის გირაოს შეფარდებისას გამოეყენებინა პატიმრობა, როგორც უზრუნველყოფის ღონისძიება, აღნიშნული გადაწყვეტილებით მოსამართლე ამ მარწუხებისგან გათავისუფლდა.

თუმცა საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილების ერთ-ერთ სუსტ მხარედ შეიძლება მივიჩნიოთ ზოგადად ამ ინსტიტუტზე და მის ბუნებაზე მსჯელობისგან თავის არიდება. მართალია, სასამართლო ცდილობს, ეს ინსტიტუტი აშკარად საგამონაკლისო შემთხვევად წარმოაჩინოს, თუმცა ბუნდოვნად ტოვებს, როდის დგება ეს უკიდურესი საჭიროება. ასე მაგალითად: სასამართლო ამბობს: *„მოსამართლე შეიძლება მიიჩნევდეს, რომ გირაოს გადახდამდე ბრალდებულის გათავისუფლება ქმნის მიმალვის დაუყოვნებლივ საფრთხეს. ამის საპირისპიროდ, მოსამართლე ასევე შეიძლება თვლიდეს, რომ მიმალვის მყისიერი საფრთხე არ არსებობს, თუმცა არის რისკები, რომ ბრალდებული არ გამოცხადდება გარკვეული პერიოდის შემდეგ ჩანიშნულ სასამართლო სხდომაზე“*.⁴⁷

აქ იმალება ფუნდამენტური პროცესუალური შეუსაბამობა. კერძოდ, თუ მოსამართლეს აქვს მყარი მტკიცებულებები, რომ ბრალდებულის დარბაზიდან გასვლა ქმნის მიმალვის დაუყოვნებლივ (მყისიერ) საფრთხეს, გამოდის, რომ ის არასწორ აღკვეთის ღონისძიებას არჩევს. სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მიხედვით, თუ მიმალვის დაუყოვნებლივი საფრთხე რეალურია და ამას სხვა ნაკლებად მზღუდავი საშუალება ვერ აზღვევს, იქმნება პატიმრობის გამოყენების საფუძველი, ხოლო თუ სასამართლო უფარდებს გირაოს, ის თავად გამორიცხავს პატიმრობის საფუძვლის არსებობას.

⁴⁶ იქვე., სარეზოლუციო ნაწილი.

⁴⁷ იქვე., II-35.

თუნდაც თეორიულად დავუშვათ, რომ არსებობს ამ მექანიზმის ობიექტური საჭიროება, აღნიშნული ჩანაწერი უნდა იკითხებოდეს, როგორც ექსტრემალური, ულტრა-საგამონაკლისო შემთხვევა და არა წესი. თუმცა, როცა საკონსტიტუციო სასამართლო თავად ახსენებს ფრაზას, „შეუძლებელია წინასწარ აღნიშნული შემთხვევების ამომწურავად განსაზღვრა... იგი დამოკიდებულია საქმის ინდივიდუალურ გარემოებებზე“⁴⁸ - იქმნება რისკი, რომ აღნიშნული ბუნდოვანი ფორმულირება იქცეს მოსამართლისთვის „კომფორტის ზონად“. საერთო სასამართლოებმა საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ დატოვებული ეს სივრცე შეიძლება გამოიყენონ გამართლებად და დაუსაბუთებელი „ინტუიციური შიში“ შეფუთონ საქმის „ინდივიდუალურ გარემოებებად“.

ამ რისკებს პრაქტიკულად ადასტურებს სახალხო დამცველის 2026 წლის სპეციალური ანგარიში. როგორც სახალხო დამცველის მიერ 88 განჩინებისა და პროკურორის შუამდგომლობების ანალიზმა აჩვენა, მოსამართლეები, უმეტეს შემთხვევაში, კვლავ „საპატიმრო გირაოს“ იყენებენ. ამასთან, მოსამართლეები მას იყენებენ კვლავ ინერციულად, შაბლონურად და ასაბუთებენ არა უშუალოდ გირაოს შეტანის უზრუნველყოფის საჭიროებით, არამედ აღკვეთის ღონისძიების ზოგადი მიზნებით.⁴⁹

3.2. „საპატიმრო გირაოს“ სტატისტიკური ანალიზი და საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილების ეფექტი პრაქტიკაში

იმის შეფასება, თუ როგორ აისახება სახალხო დამცველის ანგარიშით გამოვლენილი ტენდენციები ოფიციალურ მონაცემებში და როგორ იცვლება ამ მექანიზმის გამოყენების დინამიკა წლების განმავლობაში (განსაკუთრებით, საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილების შემდეგ), შესაძლებელია აღკვეთის ღონისძიებების გამოყენების სახით პტიმრობის და „საპატიმრო“ თუ „არასაპატიმრო გირაოს“ 2007-2025 წლების ოფიციალური სტატისტიკური მონაცემების კომპლექსური ანალიზით.

⁴⁸ იქვე.

⁴⁹ საქართველოს სახალხო დამცველის სპეციალური ანგარიში, „აღკვეთის ღონისძიების გამოყენების საკანონმდებლო და პრაქტიკული ანალიზი“, გვ. 35.

ცხრილი 5: I ინსტანციის სასამართლოების მიერ აღკვეთის ღონისძიებების (პატიმრობა, გირაო) შეფარდების სტატისტიკა (2007-2025 წწ)

წელი	შეფარებული ღონისძიებები	დაპატიმრება		გირაო		გირაო პატიმრობის უზრუნველყოფით	
		სულ	%	სულ	%	სულ	%
2007	20417	8929	43.7	7951	38.9	3290	16.1
2008	17250	7806	45.3	6490	37.6	2732	15.8
2009	16043	8198	51.1	5712	35.6	1878	11.7
2010	14959	8109	54.2	4530	30.3	2227	14.9
2011	13309	6558	49.3	4164	31.3	2562	19.3
2012	9120	3819	41.9	3068	33.6	2197	24.1
2013	12756	3413	26.8	4697	36.8	3763	29.5
2014	13644	4365	32.0	4972	36.4	3235	23.7
2015	12429	3678	29.6	4790	38.5	2740	22.0
2016	10598	3082	29.1	4385	41.4	2034	19.2
2017	9501	3249	34.2	3853	40.6	1951	20.5
2018	9997	4308	43.1	3285	32.9	2175	21.8
2019	11031	5205	47.2	2877	26.1	2736	24.8
2020	9419	4471	47.5	2758	29.3	2025	21.5
2021	11389	4723	41.5	3716	32.6	2763	24.3
2022	12541	4830	38.5	4397	35.1	3158	25.2
2023	11830	4479	37.9	4419	37.4	2830	23.9
2024	10658	4379	41.1	3601	33.8	2588	24.3
2025	10815	5654	52.3	2803	25.9	2297	21.2

წყარო: 2007-2022 წწ. - საქართველოს უზენაესი სასამართლო; 2023-2025 წწ. - საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური

როგორც პატიმრობის მაჩვენებლის განხილვისას გამოვლინდა (ცხრილი 4.1), 2007 წელს ფიქსირდება პატიმრობის მაჩვენებლის მკვეთრი კლება (2006 წელთან შედარებით - 14.3 პროცენტული პუნქტით). ეს კი, ძირითადად, უკავშირდება სწორედ „საპატიმრო გირაოს“ ახალი მექანიზმის დანერგვას, რომლის გამოყენების წილმა 2007 წელსვე 16.1% შეადგინა. იმის გათვალისწინებით, რომ აღნიშნულ პერიოდში ნორმა განიმარტებოდა, როგორც მოსამართლის ვალდებულება, დაკავებული პირისთვის გირაოს შეფარდებისას ავტომატურად გამოეყენებინა პატიმრობა უზრუნველყოფის სახით, ბუნებრივია პირველივე წელს მისი მაღალი მაჩვენებელი და შემდგომ წლებშიც მისი მზარდი ტენდენცია.

თუმცა აქ ჩნდება ორი საკვანძო კითხვა: „საპატიმრო გირაოს“ ზრდა გამოწვეული იყო თავად გირაოს გამოყენების ზრდის ბუნებრივი ტენდენციით (რასაც, პირველ წლებში, განსაკუთრებით ხელი შეუწყო 2005 წლის ბოლოს გირაოს გამოყენებაზე არსებული ლიმიტების მოხსნამ), თუ ეს იყო პროკურატურისა და სასამართლოს მიერ დანახული შესაძლებლობა, რომ „არასაპატიმრო ღონისძიების“ სახელით შეეფარდებინათ რეალური პატიმრობა, რაც ქაღალდზე თუ სტატისტიკაში ლიბერალურ პოლიტიკად ჩაითვლებოდა, ხოლო, ფაქტობრივად, პირის საპატიმროში დატოვებას გამოიწვევდა?

ამ უკანასკნელ კითხვაზე პასუხის გასაცემად აუცილებელია იმის ცოდნა, თუ რამდენად ახერხებდნენ ბრალდებულები (და რა ვადაში) გირაოს თანხის სრულად ან მისი ნახევრის დაფარვას თავისუფლების მოსაპოვებლად. ასევე, მნიშვნელოვანია იმის ანალიზიც, თუ რამდენად ადეკვატური და პროპორციული იყო შეფარდებული გირაო და ხომ არ აკისრებდა ისეთ გადაუჭრელ ფინანსურ ტვირთს, რომელიც, ფაქტობრივად, პატიმრობას უთანაბრებოდა. შესაბამისად, იმის დადგენა, „საპატიმრო გირაო“ პრაქტიკაში მუშაობს, როგორც გირაო, თუ როგორც პატიმრობა, საჭიროებს დამატებითი ოფიციალური მონაცემების, პროკურატურის შუამდგომლობებისა და მოსამართლის განჩინებების დასაბუთების სიღრმისეულ ანალიზს, რაც, შესაბამისი საჯარო ინფორმაციის არარსებობის გამო, ამ კვლევის მეთოდოლოგიურ შეზღუდვას წარმოადგენს.

ამ შეზღუდვის მიუხედავად, არსებული სტატისტიკა ნათლად გამოკვეთს პატიმრობასა და „საპატიმრო გირაოს“ შორის არსებულ მჭიდრო ურთიერთკავშირს. მიუხედავად იმისა, თუ რა სამართლებრივ კვალიფიკაციას მივანიჭებთ გამოყენებულ ღონისძიებას, ან რა ხანგრძლივობის იქნება პატიმრობა, ფაქტია: ორივე შემთხვევაში ბრალდებული სასამართლო დარბაზიდან პენიტენციურ დაწესებულებაში ხვდება, რაც წარმოადგენს პირის თავისუფლების უფლებაში ინტენსიურ ჩარევას. შესაბამისად, თუკი სტატისტიკური მონაცემების ერთ-ერთი დანიშნულება აღკვეთის ღონისძიებების გამოყენების პოლიტიკის და ამით ბრალდებულთა უფლებებში ჩარევის ხარისხის ანალიზია, ეს მექანიზმი, პატიმრობის მსგავსად, საჭიროებს მკაცრ მონიტორინგს, მით უფრო, იმ პირობებში, როდესაც საპატიმროში რჩება პირი, რომლის მიმართაც სასამართლომ პატიმრობის გამოყენება მიზანშეუწონლად მიიჩნია.

ამ პერსპექტივიდან განსაკუთრებით საინტერესოა დაკვირვება 2013 წლის მონაცემებზე, რომლებიც, ერთი შეხედვით, ყველაზე „ჰუმანურ“ მიდგომას ასახავს. საანგარიშო წელს პატიმრობის მაჩვენებლის ისტორიული მინიმუმი (26.8%) დაფიქსირდა. ამ შედეგში

გარკვეული როლი ითამაშა კანონმდებლობასა და პრაქტიკაში გაუსვლელობის ხელწერილის დაბრუნებამ, თუმცა თვალშისაცემია, რომ ამავე წელს დაფიქსირდა „საპატიმრო გირაოს“ რეკორდული, პიკური მაჩვენებელი (29.5%). შესაბამისად, იმ შუამდგომლობათა ჯამური წილი, რომელთა საფუძველზეც ბრალდებული სასამართლო დარბაზიდან კვლავ პატიმრობაში უნდა დაბრუნებულიყო, 56.3%-ს შეადგენდა. ასეთი მაღალი მაჩვენებელი კი შეიძლება განსაკუთრებით ამბავრებდეს ექვს რეალური პატიმრობის ფაქტობრივი პატიმრობით ჩანაცვლების შესახებ.

გარდა ამისა, ოფიციალური სტატისტიკა ადასტურებს სკეპტიკურ მოლოდინს იმასთან დაკავშირებით, რომ საკონსტიტუციო სასამართლოს 2022 წლის ივნისის გადაწყვეტილება ვერ იქცა პრაქტიკის გარდამტეხ წყალგამყოფად. თუ გადაწყვეტილებამდე (2021 წელს) „საპატიმრო გირაოს“ წილი 24.3% იყო, უშუალოდ გადაწყვეტილების წელს (2022 წელს) იგი 25.2%-მდე გაიზარდა. ყურადღებას იმსახურებს ის გარემოებაც, რომ 2022 წლის ივნისის (გადაწყვეტილების მიღების) შემდეგ დაფიქსირებული „საპატიმრო გირაოს“ შემთხვევები მთელი წლის აბსოლუტური მაჩვენებლის თითქმის ნახევარს შეადგენს. მომდევნო წლებშიც (2023 წ. – 23.9%, 2024 წ. – 24.3%, 2025 წ. – 21.2%) მაჩვენებელი პრაქტიკულად უცვლელი რჩება.

ეს დინამიკა მოწმობს, რომ საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებამ, რომლითაც თითქოს მოსამართლეებს, ავტომატური პატიმრობის შეფარდების ვალდებულების მოხსნით, საკანონმდებლო წნეხი მოეხსნათ, პრაქტიკაზე არსებითი გავლენა ვერ მოახდინა: მოსამართლეებმა კანონისმიერი ვალდებულება უბრალოდ საკუთარი „დისკრეციით“ ჩაანაცვლეს და ინერციით განაგრძეს ბრალდებულთა საპატიმროში დატოვება.

ეს ტენდენცია სრულად ემთხვევა სახალხო დამცველის სპეციალურ ანგარიშში წარმოდგენილ სურათს. თუმცა იმისთვის, რომ პრაქტიკის ტრანსფორმაციის ხარისხი უკეთ შეფასდეს, აუცილებელია ცალკე გაანალიზდეს პროკურატურის შუამდგომლობების დაკმაყოფილების დინამიკა ამ მექანიზმის გამოყენებასთან დაკავშირებით, რაც, თავის მხრივ, წარმოაჩენს, თუ რა ინტენსივობით მიმართავს სასამართლო აღნიშნულ ღონისძიებას საკუთარი ინიციატივით.

3.3. „საპატიმრო გირაოს“ გამოყენების შესახებ შუამდგომლობებისა და მათი დაკმაყოფილების მაჩვენებლის დინამიკა

იმისთვის, რომ დავინახოთ სასამართლოს რეაგირების დინამიკა, აუცილებელია რამდენიმე ძირითადი მაჩვენებლის კომპლექსური ანალიზი: შუამდგომლობების

რაოდენობა, მათი დაკმაყოფილების მაჩვენებელი, ასევე უარისა და განუხილველად დატოვების წილი.

ვინაიდან ამ მხრივ უზენაესი სასამართლოს მონაცემები შეზღუდულია, სრული სურათის დასანახავად და უფრო ხანგრძლივი დროის მონაკვეთის გასაანალიზებლად, შემავსებლად გამოყენებულია საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მიერ გამოქვეყნებული მონაცემებიც (2011-2014 წწ; 2023-2025 წწ.), რომლებიც, უზენაესი სასამართლოს მონაცემებთან შედარებით, მცირედ (სტატისტიკურად უმნიშვნელო) ცდომილებას შეიძლება იძლეოდეს.

ცხრილი 6: I ინსტანციის სასამართლოების მიერ 2011-2025 წლებში გირაოს გამოყენების უზრუნველყოფის მიზნით პატიმრობის გამოყენებასთან დაკავშირებით შემოსული შუამდგომლობების განხილვის შედეგები

	შუამდგომ- ლობა	დაკმაყოფილდა		უარი	განუხილველად დარჩა		შეეწარა	სხვაობა (შეწარდა - დაკმაყოფი- ლება)
	სულ	სულ	%	სულ	სულ	%	სულ	
2011	2988	2555	85.5	1	432	14.5	2561	6
2012	2241	2094	93.4	2	144	6.4	2196	102
2013	3063	2650	86.5	46	365	11.9	3762	1112
2014	1855	1549	83.5	43	263	14.2	3235	1686
2015	1430	1187	83.0	36	207	14.5	2740	1553
2016	1189	910	76.5	23	256	21.5	2034	1124
2017	1583	1199	75.7	20	364	23.0	1951	752
2018	1848	1175	63.6	19	656	35.5	2175	1000
2019	2184	1194	54.7	24	966	44.2	2736	1542
2020	901	441	48.9	25	435	48.3	2025	1584
2021	2033	1144	56.3	74	815	40.1	2763	1619
2022	3248	1691	52.1	117	1440	44.3	3158	1467
2023	3304	1614	48.8	105	1585	48.0	2836	1222
2024	3296	1445	43.8	174	1677	50.9	2588	1143
2025	5532	1501	27.1	131	3900	70.5	2297	796

წყარო: 2015-2022 წწ. - საქართველოს უზენაესი სასამართლო; 2011-2014წწ და 2023-2025 წწ - საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური

წარმოდგენილი მონაცემები რამდენიმე არსებით ტენდენციას გამოკვეთს. ცალკე იმიჯნება პროკურატურის მიერ ინიცირებული და სასამართლოს მიერ დაკმაყოფილებული შუამდგომლობები, ხოლო ცალკე სვეტად არის წარმოდგენილი უშუალოდ შეფარდების მაჩვენებელი. ეს უკანასკნელი არ არის დაკმაყოფილების ტოლფასი, ვინაიდან სასამართლოს აქვს უფლებამოსილება, აღნიშნული მექანიზმი საკუთარი ინიციატივითაც გამოიყენოს. ეს ხდება მაშინ, როდესაც ბრალდების მხარე ითხოვს პატიმრობას, სასამართლო უარს ამბობს მის შეფარდებაზე, უფარდებს გირაოს და ამ გირაოს უზრუნველსაყოფად იყენებს პატიმრობას. სწორედ ამ პრაქტიკას ასახავს ბოლო სვეტში მოცემული სხვაობა.

კვლევის მიზნებისთვის საინტერესოა ამ ორი მონაცემის ერთობლივი დინამიკა - ერთი მხრივ, დაკმაყოფილების, ხოლო მეორე მხრივ სასამართლოს ინიციატივით შეფარდების მაჩვენებელი და მათი ტრანსფორმაცია საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილების შემდეგ.

შუამდგომლობათა დაკმაყოფილების პროცენტულ მაჩვენებელზე პირდაპირ გავლენას ახდენს უარისა და განუხილველად დატოვების შემთხვევები. 2011-2012 წლებში განუხილველად დატოვების წილი 23%-ს არ აჭარბებდა, რაც პროკურატურის შუამდგომლობების პროპორციულად მაღალ დაკმაყოფილებას განაპირობებდა. თუმცა 2018 წლიდან იწყება განუხილველად დატოვების შემთხვევების მკვეთრი ზრდა, რამაც ავტომატურად შეამცირა დაკმაყოფილების პროცენტული წილი.

განუხილველად დატოვების მაჩვენებელმა პიკს 2025 წელს მიაღწია (70.5%), რაც სრულად ეხმიანება წინამდებარე ანალიზში უკვე განხილულ ტენდენციას. სწორედ ამ ფაქტორმა განაპირობა ის, რომ 2025 წელს შეტანილი შუამდგომლობების სარეკორდო აბსოლუტური მაჩვენებლის (5 5532) ფონზე, დაკმაყოფილების ფარდობითი მაჩვენებელი ისტორიულ მინიმუმამდე (27.1%) დაეცა. მიუხედავად ამისა, „საპატიმრო გირაოს“ შეფარდების საერთო რაოდენობა (2 297) მაინც მაღალ ნიშნულზე შენარჩუნდა (თუმცა იკლო უშუალოდ სასამართლოს ინიციატივით შეფარდების რიცხვმა).

რაც შეეხება შუამდგომლობებზე უარის თქმის მაჩვენებელს, გამომდინარე იქიდან, რომ ეს მექანიზმი ხანგრძლივი დროის განმავლობაში სასამართლოსთვის ვალდებულებად აღიქმებოდა, უარის პროცენტული წილი დაბალია. საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილების შემდეგ, უარის მაჩვენებელმა იმატა, თუმცა ეს ზრდა უმნიშვნელოა.

შესაბამისად, ამ სამ მაჩვენებელზე დაკვირვება ცხადყოფს, რომ საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილების მიუხედავად, დაკმაყოფილების მაჩვენებლის მცირედი კლება განპირობებულია არა იმდენად სასამართლოს მხრიდან პრინციპული უარით, არამედ განუხილველად დატოვებული შუამდგომლობების რაოდენობის ზრდით. ხოლო ის, თუ რა საფუძველით რჩებოდა შუამდგომლობები განუხილველად, ამაზე ზუსტი პასუხის თქმა რთულია, თუმცა პრაქტიკაში ეს მონაცემები მეტწილად საპროცესო შეთანხმების გაფორმების რაოდენობას ასახავს.

საყურადღებოა ისიც, რომ 2022 წლიდან იკვეთება კლების ტენდენცია უშუალოდ სასამართლოს ინიციატივით ამ მექანიზმის გამოყენების შემთხვევებში, რაც 2025 წელს ყველაზე დაბალ ნიშნულზე (796) დაფიქსირდა. მიუხედავად ამისა, საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებას არ მოჰყოლია პრაქტიკის რადიკალური ტრანსფორმაცია. ეს შეიძლება მიანიშნებდეს იმაზე, რომ ხსენებული გადაწყვეტილება არ აღქმულა საერთო სასამართლოების მიერ იმგვარ გარდამტეხ ფაქტორად, რომელსაც მათთვის ადრე არსებული იძულებითი საკანონმდებლო მარწუხები ერთბაშად უნდა მოეხსნა. ეს, თავის მხრივ, აჩენს კითხვას, აღიქმებოდა, თუ - არა საერთოდ მოსამართლეების მხრიდან ამ მექანიზმის გამოყენების დავალდებულება მარწუხად, თუ ის თავად მოსამართლეებისთვის წარმოადგენდა ეფექტურ მექანიზმს.

როგორც თავიდან აღვნიშნეთ, პატიმრობასთან ერთად, ამ მონაცემის განხილვა იმიტომ იყო მნიშვნელოვანი, რომ ისინი ერთმანეთს პირდაპირპროპორციულად უკავშირდებიან. მათ შორის, როდესაც სტატისტიკურად პატიმრობის შუამდგომლობის კლების ტენდენცია იკვეთება, ძირითადად ამის მიზეზი სასამართლოს მხრიდან უარია, თუმცა - არა უარი ზოგადად აღკვეთის ღონისძიების შეფარდებაზე, არამედ მოთხოვნილი ღონისძიებაზე, რომელსაც სასამართლო მეწილად სწორედ „საპატირო გირაოთი“ ანაცვლებს. აღნიშნულს ადასტურებს მონაცემები პატიმრობის დაკმაყოფილების შესახებ.

ცხრილი 7: I ინსტანციის სასამართლოების მიერ 2007-2025 წლებში განხილული შუამდგომლობები პატიმრობის მოთხოვნით და მათი განხილვის სამართლებრივი შედეგები

	შუამდგომლობა პატიმრობაზე	დაკმაყოფილდა		უარი		მათ შორის, უარის შემთხვევაში შეეფარდა გირაო/ „საპატიმრო გირაო“ ან ეთქვა სრული უარი				განუხილვად დარჩა
		სულ	%	სულ	%	გირაო	„საპატიმრო გირაო“	„საპატიმრო გირაოს“ წილი უარში (%)	სრული უარი	
2007	9559	8929	93.4	591	6.2	N/A	N/A	N/A	N/A	39
2008	8197	7806	95.2	369	4.5	N/A	N/A	N/A	N/A	22
2009	8713	8198	94.1	288	3.3	N/A	N/A	N/A	N/A	227
2010	8761	8109	92.6	79	0.9	N/A	N/A	N/A	N/A	573
2011	6948	6558	94.4	6	0.1	N/A	6	100.0	N/A	384
2012	4154	3819	91.9	223	5.4	N/A	102	45.7	N/A	212
2013	5222	3413	65.4	1338	25.6	N/A	1112	83.1	86	471
2014	7176	4365	60.8	2243	31.3	N/A	1686	75.2	183	568
2015	6196	3678	59.4	2228	36.0	559	1150	51.6	91	290
2016	5044	3082	61.1	1736	34.4	512	1121	64.6	54	226
2017	4506	3249	72.1	1070	23.7	251	751	70.2	29	187
2018	5784	4308	74.5	1262	21.8	209	999	79.2	13	214
2019	7347	5205	70.8	1897	25.8	N/A	1542	81.3	N/A	N/A
2020	6729	4471	66.4	2078	30.9	429	1580	76.0	42	180
2021	6991	4723	67.6	2119	30.3	456	1617	76.3	28	149
2022	6864	4830	70.4	1894	27.6	408	1466	77.4	12	140
2023	6496	4481	69.0	1693	26.1	N/A	1222	72.2	N/A	322
2024	6363	4379	68.8	1666	26.2	N/A	1143	68.6	N/A	318
2025	8283	5654	68.3	1162	14.0	N/A	796	68.5	N/A	1467

წყარო: 2015-2022 წწ. - საქართველოს უზენაესი სასამართლო; 2007-2014 წწ. და 2023-2025 წწ. - საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური

ცხრილი 7 ადასტურებს, რომ მოსამართლისთვის პატიმრობის შუამდგომლობის დაუკმაყოფილებლობის შემთხვევაში, „საპატიმრო გირაო“ მეორე არჩევანია, მაშინ, როცა ის, ფაქტობრივად, პატიმრობაზე უარით, გამორიცხავს პირისთვის ფიზიკური თავისუფლების შეზღუდვის მიზანშეწონილობას.

ეს მიდგომა უფრო ლოგიკური იყო საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებამდე, როდესაც მოსამართლე, დაკავებული პატიმრის მიმართ გირაოს შერჩევის შემთხვევაში, ვალდებულებად მიიჩნევდა უზრუნველყოფის ღონისძიებად პატიმრობის გამოყენებას, თუმცა მკვეთრი ცვილება (კლება) არც სასამართლოს გადაწყვეტილების შემდეგაა შესამჩნევი.

აღნიშნული მაჩვენებლები კიდევ ერთხელ ადასტურებს კავშირს „საპატიმრო გირაოსთან“ და მნიშვნელოვანს ხდის მისი ბუნების გამოკვეთას. მართალია, საკონსტიტუციო სასამართლოს წინაშე არ მდგარა მისი ზოგადად კონსტიტუციურობის საკითხი, თუმცა მნიშვნელოვანია იმ რისკების დანახვაც, რომლებიც ამ მექანიზმს ახლავს თან, რაც კიდევ უფრო ხსნის იმას, თუ რატომ არის ეს მონაცემები საყურადღებო. შემდეგ ნაწილში სწორედ ამ რისკებსა და საფრთხეებს განვიხილავთ.

3.4. „საპატიმრო გირაოს“ კრიტიკული გააზრება

ამ ინსტიტუტის შინაარსობრივი ანალიზი, უპირველეს ყოვლისა, ავლენს „უზრუნველყოფის ღონისძიების უზრუნველყოფის ღონისძიების“ პარადოქსს. საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მე-200 მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, თავად გირაო წარმოადგენს მატერიალურ-სამართლებრივ გარანტიას, რომელიც ბრალდებულის სათანადო ქცევასა და პროცესზე გამოცხადებას უზრუნველყოფს. შესაბამისად, გირაო, თავისი არსით, უკვე არის უზრუნველყოფის ინსტრუმენტი.

როდესაც სასამართლო იყენებს ამავე მუხლის მე-6 ნაწილს, იქმნება პარადოქსული სიტუაცია: გირაო ხდება ძირითადი საპროცესო მიზნის უზრუნველყოფის საშუალება, ხოლო პატიმრობა თავად ამ ფინანსური გარანტიის დეპოზიტზე განთავსების უზრუნველმყოფი მექანიზმი. შედეგად, სახელმწიფო ყველაზე მკაცრ იძულების ღონისძიებას - ფიზიკური თავისუფლების შეზღუდვას - იყენებს არა მართლმსაჯულების ინტერესების საწინააღმდეგო მყისიერი საფრთხის აღსაკვეთად, არამედ წმინდად ტექნიკური და სააღსრულებო პროცედურის იძულებითი დაზღვევისთვის, რაც პროპორციულობის პრინციპის აშკარა დარღვევაა.

ამასთან, „საპატიმრო გირაოს“ გამოყენებით მოსამართლე ირიბად აცხადებს ფარულ უნდობლობას, რაც შესაძლოა გირაოს ხელოვნურად გაძვირებასაც იწვევდეს. ეს კი, თავის

მხრივ, ზრდის ბრალდებულის გადახდისუნარიანობისა და მის მიმართ პატიმრობის უფრო ხანგრძლივად გამოყენების რისკებს. ამ ჰიპოთეზის გადასამოწმებლად მნიშვნელოვანია სასამართლოს მიერ გამოტანილი განჩინებების უფრო სიღრმისეული ანალიზი.

ამ პროცესს შესაძლოა სხვა პრობლემებიც სდევდეს თან, როგორცაა ბრალდებულის დემოტივაცია და მისი „დანებების ეფექტი“, რისი გაზომვის შესაძლებლობასაც მოცემული სტატისტიკა არ იძლევა. სტატისტიკა აღრიცხავს მხოლოდ გირაოს შეფარდებისა და პატიმრობის უზრუნველყოფის საშუალებად გამოყენების მომენტს, რის შემდეგაც სისტემა პროცესის რეალური განვითარებით არ ინტერესდება და თვალს აღარ ადევნებს.

რატომ არის ეს მნიშვნელოვანი? დარბაზიდანვე პენიტენციურ დაწესებულებაში დაბრუნებული პირი მყისიერად წყდება გარე სამყაროს, რადგან მას ესპობა საშუალება, პირადად იზრუნოს გირაოს თანხის შეგროვებაზე. ამის გამო მთელი მატერიალური და ორგანიზაციული ტვირთი გადადის მისი ოჯახის წევრებზე. ბრალდებული პირის ნაცვლად, რომელსაც გირაოს შემთხვევაში თავად მოუწევდა აღკვეთის ღონისძიებიდან გამომდინარე პასუხისმგებლობის აღება, ამ ტვირთის მატარებლები ახლობლები ხდებიან. თამამად შეიძლება ითქვას, რომ ეს მორალური ტვირთიც არის, რადგან სწორედ მათ ხელშია დაპატიმრებული ოჯახის წევრის გათავისუფლება. სანამ ახლობლები სახსრებს ეძებენ (რაც შეიძლება ხანგრძლივი პროცესი იყოს), სახელმწიფო ფორმალურად აცხადებს, რომ პირი „გირაოშეფარდებულია“, რეალურად კი იგი პენიტენციურ დაწესებულებაში პატიმრად რჩება. თანხის მოუძიებლობის ან ოჯახისთვის ამ ტვირთის დაკისრებისგან თავის არიდების შემთხვევაში, ბრალდებული შეიძლება დანებდეს, შეეგუოს მოცემულობას და მის მიმართ შეფარდებული გირაო რეალურ პატიმრობად ექცეს. ეს ერთგვარ დისკრიმინაციულ მიდგომასაც ავლენს, რადგან შედარებით უფრო შეძლებული ბრალდებულებისთვის „საპატიმრო გირაო“ თავისუფლების გარანტიაა, ხოლო სოციალურად უფრო მოწყვლადი პირებისთვის - პატიმრობა.

აღნიშნული პრაქტიკა წარმოშობს მორალურ კრიზისსაც, სადაც ადამიანი ფინანსურ მძევლად გვევლინება. კლასიკური გირაოს (ე.წ. „არასაპატიმრო გირაოს“) დროს შესაძლებელია, ფულადი თანხის ნაცვლად, მაგალითად, კერძო საკუთრებით უზრუნველყოფის გამოყენება, „საპატიმრო გირაო“ კი ფულის მიღების გარანტად ადამიანის ფიზიკურ თავისუფლებას იყენებს. სანამ დეპოზიტზე თანხა არ აისახება,

ადამიანის სხეული და თავისუფლება სახელმწიფოს ტყვეობაში რჩება, რაც ადამიანის ღირსებისა და თავისუფლების კონცეფციის ფინანსურ ერთეულამდე დაყვანაა.

თუ მოსამართლის ერთადერთი ლეგიტიმური საზრუნავი იმის უზრუნველყოფაა, შეასრულებს, თუ - არა პირი კანონის მოთხოვნას და შეიტანს, თუ - არა ფულს დეპოზიტზე (რაც ივარაუდება, რომ შემდეგ მისთვის გახდება მბოჭავი და მოემსახურება აღკვეთის მიზნებს), მაშინ მოსამართლეს შეიძლება ჰქონდეს ბევრად უფრო ჰუმანური, ეფექტური და მათ შორის, ხარჯთეფექტიანი (რამდენადაც პირის საპატიმროში შენახვას თავისი სოციალური ხარჯი ახლავს) ალტერნატივებიც. მაგალითად, შეუძლია მისი მიმალვის რისკების დასაზღვევად გამოიყენოს სხვა დამატებითი ღონისძიება (პროპორციულობის პრინციპის სრული დაცვით), ხოლო გირაოს გადახდა უფრო მოკლე ვადით შეზღუდოს. ამ მოდელის უპირატესობა ისაა, რომ უზრუნველყოფილია თავისუფლების პრიორიტეტი - პირი მიდის სახლში, ეძლევა საშუალება, თავად მოიძიოს თანხა და დაამტკიცოს მართლმსაჯულებისადმი პატივისცემა. ამავდროულად, ნარჩუნდება მკაცრი და ობიექტური კონტროლი. თუ პირმა თანხა დათქმულ დროში არ შეიტანა და ვერც საპატიო მიზეზი წარადგინა, მხოლოდ ამ მომენტიდან შეიძლება მოსამართლემ მისი დაპატიმრება განიხილოს (ცალკე განხილვისა და დასაბუთების საფუძველზე). ხოლო თუ მოსამართლეს მაინც სჯერა, რომ დარბაზის დატოვებისთანავე, ბრალდებული უმაღლეს თავს აარიდებს მართლმსაჯულებას და არანაირი სხვა ღონისძიება ან მათი ერთობლიობა არ აზღვევს ამ რისკებს, მაშინ მან პირდაპირ პატიმრობას უნდა მიმართოს და არა კვაზიპატიმრობას.

საბოლოო ჯამში, პრაქტიკა, რომელიც არც საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილების შემდეგ შეცვლილა, ადასტურებს, რომ „საპატიმრო გირაო“ მოსამართლეთა „კომფორტის ზონად“ იქცა - ინსტრუმენტად, რომელიც მართლმსაჯულების განმხორციელებელს საშუალებას აძლევს, თავი აარიდოს პასუხისმგებლობას: არც პატიმრობის მკაცრი სტანდარტი დაასაბუთოს და არც პირის გათავისუფლების რისკი აიღოს საკუთარ თავზე. ამ პირობებში, თავდაპირველი დათქმა, თითქოს ამ მექანიზმისთვის „საპატიმრო გირაოს“ წოდება მის მიზნებს ეწინააღმდეგება, პრაქტიკაში უარყოფილია, რადგან რეალურად ყველაზე კარგად შეიძლება სწორედ ეს ტერმინი აღწერდეს მის პრაქტიკულ ფუნქციას - გირაო, რომელიც პირის დასაპატიმრებლად გამოიყენება.

4. დასკვნა

წინამდებარე კვლევაში წარმოდგენილი ემპირიული და სამართლებრივი ანალიზი საქართველოს სისხლის სამართლის მართლმსაჯულების სისტემაში აღკვეთის ღონისძიებათა გამოყენების მნიშვნელოვან ტენდენციებსა და პრობლემურ საკითხებს გამოკვეთს. ამავდროულად, მკაფიოდ წარმოაჩენს იმ მეთოდოლოგიურ და საინფორმაციო შეზღუდვებს, რომლებიც ცალსახა და კატეგორიული დასკვნების გამოტანას ზღუდავს.

წინამდებარე კვლევის მნიშვნელობა ისაა, რომ ცდილობს, ოფიციალური სტატისტიკური ანგარიშებით შემოთავაზებული ზედაპირული მონაცემების მიღმა არსებული სურათი დაინახოს და ხელი შეუწყოს მეთოდოლოგიურად გამართული აკადემიური დისკუსიის განვითარებას მართლმსაჯულების რეალური პრაქტიკის შესახებ.

კვლევამ აჩვენა, რომ აღკვეთის ღონისძიების გამოყენების თაობაზე პროკურატურის შუამდგომლობების დაკმაყოფილების მაჩვენებლის თითქოსდა მკვეთრი შემცირება (80%-დან 40-50%-მდე) მეტწილად „სტატისტიკური ილუზიაა“, რაც განუხილველად დატოვებული შუამდგომლობების რიცხვით არის განპირობებული. მონაცემთა კორექტირებით გამოვლინდა, რომ იმ საქმეებში, რომლებშიც სასამართლო შუამდგომლობას არსებითად განიხილავს, პროკურატურის მოთხოვნათა დაკმაყოფილების ან სხვა აღკვეთის ღონისძიებით ჩანაცვლების მაჩვენებელი სტაბილურად მაღალია (80%-87%). ამასთანავე, 2015-2025 წლების მონაცემები ადასტურებს აღკვეთის ღონისძიების გამოყენებაზე სრული უარის თქმის უკიდურეს იშვიათობას, რაც შეიძლება მიანიშნებდეს სასამართლოს მხრიდან ბრალდებულის საპროცესო იძულების გარეშე გათავისუფლების სიფრთხილეზე, ასევე, ინსტიტუციური ავტომატიზმის რისკებზე. ეს მიგნება მნიშვნელოვანია იმდენად, რამდენადაც აღკვეთის ღონისძიების ფაქტობრივი და ფორმალური საფუძვლის დასაბუთება საერთოა ნებისმიერი სახის აღკვეთის ღონისძიებისთვის (როგორც პატიმრობისთვის, ისე პირადი თავდებობისთვისაც). შესაბამისად, თუ ამ პროცესში ჩნდება ავტომატიზმის რისკები, ეს მიანიშნებს, რომ სასამართლო აღკვეთის ღონისძიების შეფარდებას არა ინდივიდუალურ, მტკიცებულებებზე დაფუძნებულ შეფასებად, არამედ ფორმალურ საპროცესო რუტინად აღიქვამს. ეს პრაქტიკა აკნინებს სასამართლოს, როგორც ადამიანის უფლებათა ნეიტრალური არბიტრის, ფუნქციას და აჩენს საფუძვლიან ეჭვს, რომ ბრალდებულის მიმართ საპროცესო იძულების გამოყენება წარმოადგენს ნაგულისხმევ წესს, ხოლო

აღკვეთის ღონისძიების გამოყენებაზე უარი - გამონაკლისს, რაც სასამართლოს კონტროლს ფორმალურად აქცევს.

კვლევის კიდეზე ერთი მნიშვნელოვანი მიგნებაა პრაქტიკაში ალტერნატივების არარსებობა. საკანონმდებლო ბაზის ცვლილებების მიუხედავად, პრაქტიკაში კვლავ ორი ძირითადი ინსტიტუტი - პატიმრობა და გირაო - დომინირებს, ხოლო ნაკლებად მზლუდავი ღონისძიებები (მაგ. პირადი თავდებობა), „მკვდარ ნორმად“ რჩება. ამასთან, გირაოს მაღალი ხვედრითი წილი ავტომატურად სისტემის ლიბერალიზაციას არ ნიშნავს, რამდენადაც მასში ცენტრალური ადგილი უკავია ე.წ. „საპატიმრო გირაოს“ („გირაოს პატიმრობის უზრუნველყოფით“). ეს მექანიზმი წარმოშობს „უზრუნველყოფის ღონისძიების უზრუნველყოფის“ სამართლებრივ პარადოქსს: ყველაზე მკაცრი იძულების ღონისძიება (პატიმრობა) გამოიყენება არა მართლმსაჯულების ინტერესების დასაცავად, არამედ წმინდად ტექნიკური ფინანსური გარანტიის დეპოზიტზე განთავსების დასაზღვევად.

მართალია, საკონსტიტუციო სასამართლოს 2022 წლის გადაწყვეტილებამ დაკავებული პირისთვის „საპატიმრო გირაოს“ შეფარდების იმპერატიული ვალდებულება მოხსნა და ინდივიდუალური შეფასების სამართლებრივი საფუძველი შექმნა, სახალხო დამცველის 2026 წლის ანგარიში და თვისებრივი მონაცემები მოწმობს, რომ პრაქტიკული ინერცია კვლავ ძლიერია და სასამართლოები აგრძელებენ ამ ინსტრუმენტის შაბლონურ გამოყენებას.

მიუხედავად ამ მიგნებებისა, კატეგორიული დასკვნების გამოტანას, მით უფრო, ამ მონაცემებზე დაყრდნობით იმის შეფასებას, „გაუმჯობესდა“ თუ „გაუარესდა“ მართლმსაჯულების სისტემა, რამდენიმე ფუნდამენტური ფაქტორი ზღუდავს: პირველ რიგში, ეს დეტალური და სისტემატური მონაცემების ნაკლებობაა. ის მინიმუმიც კი, რომელსაც უზენაესი სასამართლოს სტატისტიკური ანგარიშები იძლეოდა, 2023 წლიდან ხელმისაწვდომი არაა. ამას თან ერთვის შეზღუდული წვდომა სასამართლოს განჩინებებსა და განზოგადებულ პრაქტიკასთან.

სწორედ ეს გამოვლენილი ხარვეზები განსაზღვრავს სამომავლო კვლევით დღის წესრიგს. იმისათვის, რომ მართლმსაჯულების რეალური სურათი შეივსოს, აუცილებელია გაძლიერდეს სასამართლო განჩინებათა ინდივიდუალური დასაბუთებულობის ხარისხის კვლევა, შეფასდეს გირაოს ოდენობის პროპორციულობა ბრალდებულის ფინანსურ შესაძლებლობებთან, დამატებით ღონისძიებებთან ერთად გირაოს გამოყენების პრაქტიკა

და კომბინირებული ეფექტით გამოწვეული ინტენსივობა. ამასთან, მნიშვნელოვანია „საპატიმრო გირაოს“ სიღრმისეული კვლევა - ამ მექანიზმის გამოყენების დასაბუთებულობა, მისი შემდგომი შედეგები - პატიმრობის რეალური ხანგრძლივობა და პენიტენციურ დაწესებულებაში მყისიერი დაბრუნების გავლენა ბრალდებულის მოტივაციაზე. გარდა ამისა, ინსტიტუციურ დონეზე მნიშვნელოვანია პროაქტიული გამჭვირვალობის სტანდარტის დახვეწა, მონაცემთა მრავალფეროვნების უზრუნველყოფა.

საბოლოო ჯამში, კვლევის მთავარ დაკავშირებულ შედეგად გამოიყოს ის, რომ აღკვეთის ღონისძიებების სტატისტიკა წარმოადგენს არა მართლმსაჯულების ხარისხის თვითკმარ საზომს, არამედ რთულ, მრავალფაქტორულ ინდიკატორს. ერთი კონკრეტული ციფრი ან პროცენტული მაჩვენებელი ავტომატურად ვერ გახდება სისტემის მდგომარეობის შეფასების საფუძველი. მართლმსაჯულების რეალური სურათის დანახვა შესაძლებელია მხოლოდ რაოდენობრივი მონაცემების, ინსტიტუციური კონტექსტის, საპროცესო კანონმდებლობისა და ინდივიდუალური განჩინებების დასაბუთებულობის ხარისხის ერთობლივი, კომპლექსური გააზრებით. წინამდებარე კვლევა სწორედ ამ მრავალშრიანი ანალიზის საჭიროებას უსვამს ხაზს და ქმნის საფუძველს შემდგომი სიღრმისეული ემპირიული ძიებისთვის.